# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 მარტი 2004 №60 (2079) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ არავისზე ნაკლებნი არ ვართ!

## ალენ ჟირესმა ფრანგული რევოლუციის ლოზუნგი გამოფინა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ფრანგი მწვრთნელი ეროვნულს ეჩვევა: გუნდს, ჩემპიონატს, სტადიონს

## დღეს ჟირესი განახლებული ჩემპიონატის თბილისურ დერბის «დინამო» — «ლოკომოტივს» დაესწრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ არავისზე ნაკლებნი არ ვართ! ალენ ჟირესმა ფრანგული რევოლუციის ლოზუნგი საქართველოში წამოიღო



*გამარჯობა და გმადლობთ — საქართველოს ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ორი ქართული სიტყვა უკვე ისწავლა და უახლოესი ორი წლის განმავლობაში მისგან მეტსაც უნდა ველოდოთ.*

*ალენ ჟირესი გუშინ თბილისში ჩამოვიდა და საქმეს შეუდგა. გუშინდლამდე ის ქართულ ფეხბურთზე ინფორმაციას აგროვებდა, დღეიდან კი უკვე პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგება. ჟირესის უახლოესი გეგმა ასეთია — საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე დასწრება, ნაკრების აქაური კანდიდატების შერჩევა და გერმანელ ახალგაზრდებთან ამხანაგური მატჩისთვის გუნდის მომზადება, იქამდე კი...*

*პირველყოვლისა რა გააკეთა, ან რის გაკეთებას აპირებს საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ახალ სამსახურში? — აი, პირველი კითხვა, რითაც გუშინ თბილისში ჩამოსულ ალენ ჟირესს მივმართეთ*

— ჩემი საქმიანობა საქართველოს ნაკრებში ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით დაიწყო. ჯერჯერობით ამ კითხვაზე კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ, თუმც გეტყვით, რომ ამჟამად მწვრთნელთა შტაბის დაკომპლექტებითა და ნაკრებისთვის მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალის შერჩევით ვარ დაკავებული. ამ საქმეს მალე დავამთავრებ და ფეხბურთელთა შერჩევაზე გადავალ. გერმანელ ახალგაზრდებთან მატჩამდე ორი კვირით ადრე მსურს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელთა შესაძლებლობებში გავერკვე და ვინც ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ნაკრებისკენ გზა გავუხსნა.

— ამას წინათ თბილისიდან ხელმოუწერელი კონტრაქტი წაიღეთ და კონსულტაციებისთვის ადვოკატებს მიმართეთ. ბევრი რამ იყო შესაცვლელი?

— ახლა ამას რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მე ხომ უკვე ნაკრების მწვრთნელი ვარ.

— ამჯერად საქართველოში ორი კვირით ჩამოხვედით. მერე როგორ იქნება? უმეტესად აქ იქნებით თუ საფრანგეთში? ოჯახთან ერთად აპირებთ ჩამოსვლას?

— ოჯახს ჩამოვიყვან თუ არა, ეს ჩემი პირადი საქმეა. მეტ დროს აქ გავატარებ თუ საფრანგეთში, გეტყვით, რომ როგორც საქმისთვის აჯობებს, ისე იქნება. მწვრთნელის ყურადღება არც ლეგიონერებს მოაკლდებათ და არც საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებს. სადაც საჭირო იქნება, იქ ვიქნები.

— ქართულ ფეხბურთს ვიცნობო, ადრე რამდენჯერმე თქვით. ახლა გვითხარით — რა დოზით იცნობთ ჩვენს ფეხბურთს?

— ალენ ჟირესმა ძალიან კარგად იცის ქართული ფეხბურთის ტრადიციები. ჟირესს ახსოვს თბილისის „დინამოს" მართლაც დიდი და შესანიშნავი გუნდი. ევროპაში კაცი არ იყო, თბილისის „დინამო" არ სცოდნოდა და არ დაეფასებინა. თავად კი თბილისელთა რამდენიმე მატჩიც მაქვს ნანახი. დღევანდელ ქართულ ფეხბურთს კი იმ დოზით ვიცნობ, რა დოზის ინფორმაციაც მაქვს ევროპაში მოთამაშე ქართველებზე. ხოლო ეს ინფორმაცია საკმაოა ბევრია და თანაც სპეციალისტებისგანაა მიღებული. საქართველოს ჩემპიონატზე კი მართლაც ცოტა ვიცი, ჯერ მხოლოდ ერთ მატჩს დავესწარი, ისიც მაშინ, როცა გუნდებს მომზადება ახალდამთავრებული ჰქონდათ და სრული წარმოდგენა ვერ შევიქმენი. ახლა ჩემპიონატი იწყება და ქართულ ფეხბურთში უკეთ გავერკვევი.

— ტრადიციებიო ახსენეთ. ამ ტრადიციების გათვალისწინებით საქართველოს ნაკრებს ძალიან ამბიციური ქომაგი ჰყავს. როცა ჩვენი ნაკრების გაწვრთნას დათანხმდით, ალბათ, ეს ფაქტორიც გაითვალისწინეთ. არ შიშობთ, რომ იქნებ საქართველოს ნაკრებში თქვენი მუშაობა წარუმატებელი გამოდგეს და სამწვრთნელო რეპუტაცია შეგელახოთ?

— წარუმატებლობაში რას გულისხმობთ?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვედრას.

— საქმეს თუ ხელი მოვკიდე, იმედი მაქვს, რომ კარგად გავაკეთებ. მე ვერ გეტყვით, გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ჩემი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, თუმც გეტყვით მეორეს — ჩემი ხელმძღვანელობით თამაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, საქართველოს ნაკრები არავისთვის იქნება ხელწამოსაკრავი და ყველა მეტოქესთან ტოლ-სწორად ითამაშებს. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა საქმისადმი მიდგომა, მათი პირობები მე მაკმაყოფილებს, მივესალმები მათ ამბიციას და ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს ნაკრების თამაშში მალე დიდ პროგრესს შეამჩნევთ. ფედერაციის სურვილი და მოთხოვნაა, რომ საქართველოს ნაკრებმა ითამაშოს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატზე.

— შეუძლია ეს საქართველოს ნაკრებს?

— რატომაც არა! შესაძლოა, საქართველომ ჟირესის ხელში ვერ ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ ჟირესმა საქართველოს ნაკრების აღმასვლას საფუძველი ჩაუყაროს და ჩემმა მემკვიდრემ ეს მიზანი შეასრულოს. ბედნიერი ვიქნები, როცა საფრანგეთში დაბრუნებული შევიტყობ, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვაო. მაშინ ვიტყვი, რომ ამ წარმატებაში ჩემი წვლილიც იყო. ერთ ამბავს გეტყვით: 1970 წლიდან 82-მდე ფრანგული ფეხბურთის წარმატებებზე რამე გსმენოდათ? არა, რადგანაც იმ პერიოდში ფრანგული ფეხბურთი არაფრით გამოირჩეოდა. ჰოდა, მაშინ იყო ფრანგული ფეხბურთის მესვეურთა სიტყვა — ჩვენ არავისზე ნაკლებნი არ ვართ. მას შემდეგ კი, მოგეხსენებათ, ფრანგული ფეხბურთი რა დონეზეც არის. ჟირესი არ ეთანხმება ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის სიტყვებს — მთავარია მონაწილეობა. ჟირესისთვის მთავარია — შედეგი. და თუ მკითხავთ, გაიყვანთ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე, არ გიპასუხებთ, რომ — არ ვიცი, გიპასუხებთ, რომ — დიახ!

— ძალიან კარგი, რომ ასეთი ოპტიმისტი ყოფილხართ. ეს გვითხარით, საფრანგეთში რა რეაქცია ჰქონდათ, როცა შეიტყვეს, რომ ალენ ჟირესმა საქართველოს ნაკრები ჩაიბარა?

— კონტრაქტის გაფორმების შემდეგ თქვენი კოლეგებისგან მოსვენება არ მქონდა, მათ, ბუნებრივია, ყველაფერი აინტერესებთ და შეძლებისდაგვარად ვაკმაყოფილებდი ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობას. თბილისში წამოსვლის წინ ფრანგებმა წარმატებები მისურვეს და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები საფრანგეთში ახლა ძალიან პოპულარული გახდება. საქართველო ქომაგს შეიმატებს და მისი შედეგი ჩემი ქვეყნისთვის სულერთი არ იქნება.

— ჟირესისთვის იდეალური მწვრთნელი ვინ არის?

— ვისთანაც მიმუშავია, თუ საერთოდ?

— საერთოდ, ვის თვლით იდეალურ მწვრთნელად?

— მიჭირს გიპასუხოთ. არ ყოფილა მწვრთნელი, რომელსაც თავისებური ნაკლი არ ჰქონია, მის გუნდს კი გარკვეულ პერიოდში ჩავარდნა. ბევრი იყო და არის დიდი მწვრთნელი, სახელოვანი და მათგან ერთ ვერ გამოვარჩევ. ჩემი აზრით, დიდი მწვრთნელი ის არის, ვინც თავის სიტყვას გუნდისთვის გასაგებად ამბობს.

— თქვენი საფეხბურთო-სამწვრთნელო კრედო რა არის?

— ჩემმა გუნდმა ყოველთვის უნდა მოიგოს.

— ბოლო ორი კითხვაც და დავამთავროთ...

— არა, ერთი.

— მაშ, უნდა ამოვარჩიო... მიგაჩნიათ, რომ ფრანგული ფეხბურთი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესოა?

— მაშ, მეც მოკლედ გიპასუხებთ — დიახ, საუკეთესოა.

— და ამას წინათ საქართველოში ორი დღით ყოფნის შემდეგ საფრანგეთში ყველაზე დასამახსოვრებელი რა წაიღეთ?

— ქართული სტუმართმოყვარეობით გაოცებული დავრჩი. გმადლობთ.

ქართველებმა ჟირესს ორი ქართული სიტყვა — გამარჯობა და გმადლობთ ორ დღეში ასწავლეს, მასპინძლობით მოხიბლეს.

როდის ასწავლის ჟირესი საქართველოს ნაკრებს ფეხბურთის თამაშს? ამ კითხვაზე პასუხისთვის ლოდინი ორი წელი მოგვიწევს.

დღეიდან კი 52 წლის ფრანგი ალენ ჟირესის ქართული საქმე დაიწყო.

**ქობა ინასარიძე**



# საქართველო ხორვატიულ გლობუსზე



*გუშინ დილის საწვრთნელ ბაზაზე ხორვატიული ჟურნალის „გლობუსის" კორესპონდენტი ვლადო ვურუშიჩი გავიცანით. მისი ვიზიტი ორმა გარემოებამ განაპირობა: ცენტრსა და რეგიონს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ და შუშაკმა და „დინამომ"*

— საქართველოში პირველად ჩამოვედი, თუმცა არცთუ ცოტა ვიცი მის შესახებ: დიდი ისტორია და კულტურა, საუცხოო სამზარეულო და ღვინო... თქვენი ულამაზესი ქალების შესახებაც მსმენია და ახლა ამაში თავად დავრწმუნდი.

**— ჟურნალი „გლობუსი" უფრო პოლიტიკურია. სპორტით დაინტერესება შუშაკის ფაქტორმა განაპირობა?**

— „გლობუსი" დაახლოებით გერმანული „შპიგელის" ყაიდის ჟურნალია. ვცდილობთ, ნებისმიერი საინტერესო თემა, მათ შორის სპორტულიც, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს. სპორტული თემით, ცხადია, შუშაკის გამო დავინტერესდით. ეს არცაა გასაკვირი. ის ხორვატიის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ასე რომ არ ყოფილიყო, ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს არავინ ჩააბარებდა. ძალიან მოხარული ვარ, რომ შუშაკი თბილისშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

**— შუშაკი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელიც იყო, ალბაც ამ მოვლენასაც გამოეხმაურა ხორვატიული მედია...**

— რუსეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ხორვატიაში არ დარჩენილა. არც ერთი დიდტირაჟიანი გაზეთი, შუშაკის ინტერვიუ არ დაებეჭდა. ცენტრალურმა ტელევიზიამ იმ დღეს 40-წუთიანი საგანგებო გადაცემაც მოამზადა. ასე იქცა ქართული საფეხბურთო მოვლენა უაღრესად აქტუალურად ხორვატიაშიც.

**— თბილისში ყოფნისას რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ქართულ ფეხბურთზე?**

— აქამდე ქართულ ფეხბურთს მხოლოდ უცხოეთში მოთამაშე ქართველი ვარსკვლავებით ვიცნობდი. ახლა კი ვხედავ, რომ ჩვენ ერთნაირი პრობლემები გვაქვს. კერძოდ, ფეხბურთელების დიდი მიგრაცია. ზაგრების „დინამოს" ლეკო და ოლიჩი რომ შეენარჩუნებინა, „ზაგრები" 5 ქულით ვერ გაუსწრებდა. სამწუხაროდ, როგორც „დინამოს" გულშემატკივარმა, უნდა ვაღიარო, რომ წლეულს „ზაგრები" გახდება ჩემპიონი. ჩემპიონატის მატჩებზე თუ „დინამო" და „ზაგრები" არ თამაშობენ, დასწრება საკმაოდ დაბალია. როდესაც ჩვენს ფედერაციაში დარწმუნდნენ, რომ ჩემპიონატის დონე არ იმატებს და მიგრაციაც არ იკლებს, აქცენტი ეროვნულ ნაკრებზე გაკეთდა. ალბათ ასევე უნდა მოიქცეთ თქვენც. პატარა ქვეყნებს, სადაც ფინანსური კრიზისიც არსებობს, ერთი პრიორიტეტის განსაზღვრა მართებთ. ჩვენთვის ეს ნაკრებია. სამაგიეროდ, შედეგიც კარგია. მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავისაკუთრეთ და ახლა ევრო 2004-ზეც ვითამაშებთ.

**დავით ერაძე**

*334 მატჩი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, თხუთმეტიდან თოთხმეტი ჩემპიონატის მონაწილე — ასეთია „ბათუმის", თბილისის „დინამოსა" და ფოთის „კოლხეთის" ყოფილი ნახევარმცველის, 32 წლის თემურ ტუღუშის ნამსახურება-დამსახურებათა ნუსხა.*

*ახლობლებსა და საფეხბურთო წრეებში „ტუხად" ცნობილს ბევრი უნახავს და გადახდომია. ასეთი კაცი დღეს უფეხბურთოდაა — ტუღუში კარიერის დასრულებას აპირებს.*

*არადა, 32 წელი მაინცდამაინც საპენსიო ასაკი არ უნდა იყოს და „ტუხასაც" ეს აფიქრებს — საბოლოო „არას" არ ჩქარობს, თუმც... ერთი რამ ცხადია, დღეს საქართველოს მე-15 ეროვნული ჩემპიონატი უტუღუშოდ განახლდება. ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ, 1997-98 წლების სეზონში მოხდა, როცა თემური ებრაულ „ბნეი იეჰუდაში" თამაშობდა...*

# და რაზე მწყდება გული, იცი...

## თემურ ტუღუშის ნათქვამ-უთქვამი




— ფეხბურთიდან წასვლა კი გადავწყვიტე, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიჭირს. აღარ ვიცი, რა ვქნა. ალბათ ორი სეზონი კიდევ შემეძლო, მეთამაშა.

**— მაშ, რატომ გადაწყვიტე ასე?**

— ამ ცოტა ხნის წინ ოჯახური პრობლემები მქონდა. ცოლ-შვილზე უკეთესი არავინ მყავს და ფეხბურთსაც თითქოს იოლად შეველიე, მაგრამ გული ისევ ბურთისკენ მიმიწევს, თუმც... რა ვიცი, მგონი, წასვლა ჯობს.

**— ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშები მატჩებით რეკორდსმენი ხარ. ჩაეტია ამ 334 მატჩში ის, რის გაკეთებასაც კარიერის დასაწყისში ფიქრობდი?**

— რა თქმა უნდა, არა. რისი გაკეთებაც მინდოდა, ბოლომდე ვერ შევძელი. მეტი იყო საჭირო. არადა, 32 წელი რა არის?! თითქოს კიდევ მინდოდა რაღაცის თქმა... ისე, რა თქმა უნდა, ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთში რაღაც მცირე, ჩემეული მაინც დავტოვე.

**— და რაზე გწყდება გული?**

— იყო გარკვეული მომენტები, რამაც საქმეები ამირია. თუნდაც შარშანდელი მაგალითი ავიღოთ, ბათუმელი კაცი ვარ და, ასე არ უნდა მომქცეოდნენ ჩემიანები. „ბათუმიდან" ასე ხელაღებით გასაშვები არ ვიყავი. მსგავსი უსიამოვნებები ბევრი იყო.

**— შენი ყველაზე დიდი შეცდომა — სად, როდის?**

— შეცდომები ბევრი მქონდა, მაგრამ ერთმა ყველაზე მეტად მავნო. 1990 წელი იყო, საბჭოთა კავშირს გამოვეყავით და მალე ეროვნული ჩემპიონატი იწყებოდა. მაშინ 18 წლის ვიყავი და წინ ვერ გავიხედე — თბილისის „დინამოში" თამაშზე მეტი რა უნდა მდომებოდა?! მაგრამ ცხონებულ დავით ყიფიანთან მივედი და „ბათუმში" გაშვება ვთხოვე. ამ შეცდომას გვიან მივხვდი და მწარედაც ვინანე. არადა, ყველა მეუბნებოდა, აქ დარჩი, შენთვის უკეთესიაო. არ დავუჯერე, ლამის ყოველდღე ვეხვეწებოდი, „ბათუმში" წავალ და იქ ვითამაშებ-მეთქი. წავედი და...

**— წლების მერე თბილისის „დინამოში" მაინც დაბრუნდი...**

— 1999 წელს გამიჩნდა ასეთი შანსი და, ცხადია, უარი არ მითქვამს.

**— მაგრამ ნახევარი სეზონის მერე ისევ „ბათუმში" ამოჩნდი.**

— ეს უკვე ჩემი ბრალი არ იყო. გუნდში იოჰან ბოსკამპი მოვიდა და ვინც 30 წელს ვუკაკუნებდით, ყველა გაგვიშვა. მაშინ ცხრა კაცი წავიდა „დინამოდან", მათ შორის მეც.

**— საერთო აზრი: თემურ ტუღუშმა ვერ ითამაშა ის ფეხბურთი, რაც შეეძლო. რატომ?**

— ამაში დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. სუსტი ნებისყოფის ვიყავი. ფეხბურთს ცოტა ზერელედ ვუყურებდი, ქუჩას ავყევი... ვფიქრობ, საკმარისი მიზეზებია.

**— შენი კარიერიდან ყველაზე საინტერესო ალბათ ის ბათუმური წლებია, როცა უეფას თასზე თამაშობდით...**

— მაშინ მართლა კარგი გუნდი გვყავდა. შემადგენლობაც ძლიერი იყო და მთავრობაც გვერდით გვედგა. არანაირი პრობლემა — ფულზე, ვარჯიშზე, პირობებზე წუწუნი გამორიცხული იყო. ბათუმში ისეთი დიდი გუნდები ჩამოვიდნენ, „პსვ ეინდჰოვენი" და „სელტიკი" რომ არიან. ასეთ რამეს მანამდე ვერც წარმოვიდგენდი. თამაშებზე გაოგნებულები გავდიოდით. ვის ეგონა, „ეინდჰოვენთან" და „სელტიკთან" თამაში თუ შეიძლებოდა?! გავდიოდით გადაჭედილი სტადიონის მოედანზე და მეტოქე იყო ჩვენთვის მიუწვდომელი. ბიჭები ფიქრებსა და ოცნებებში დაფრინავდნენ და ისე თამაშობდნენ.

**— რომელი მატჩი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?**

— პირველ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" ვეთამაშებოდით. მაშინ „დინამოში" კახა ცხადაძე, გია გურული, თემურ ქეცბაია, ახრიკ ცვეიბა, ზაურ ხაპოვი და რა ვიცი, კიდევ ვინ არ თამაშობდა. 2:0 მოვიგეთ და ორივე გოლი მე გავიტანე. ის მატჩი არასოდეს დამავიწყდება. და კიდევ, რა თქმა უნდა, „სელტიკთან" მატჩი. შოტლანდიელების კარში გატანილი გოლი საუკეთესოა ჩემს კარიერაში. იმ წუთში ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იყო. სამწუხაროდ, მერე ჩემთვის გაუგებარი მიზეზით გამომცვალეს, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ მახსენდება ყველაფერი.

**— ფეხის მოკიდება ნაკრებშიც ვერ შეძელი...**



— ამაზეც ძალიან მწყდება გული. ნაკრებში ძალიან ხშირად მიწვევდნენ, მაგრამ სულ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, თამაში არ მიწევდა. თან იმ დროს მე, ქეცბაია და რევიშვილი ვიყავით კონკურენტები. ყველაზე უფრო მეგონა, უელსთან და გერმანიასთან საგარეო მატჩებში ვითამაშებდი. გერმანიაში მწვრთნელებმა მე და ყაველაშვილს მოთელვაც დაგვაწყებინეს, მალე შეგიშვებთო, მაგრამ... ერთი სიტყვით, ჩემი ჯერი არა და არ დადგა.

**— შენი თაობის ფეხბურთელებიდან უმეტესობამ კარიერა უცხოეთში გააგრძელა. ასეთი შანსი არ გქონდა, საკუთარი თავის არ გეიმედებოდა თუ რამ შეგიშალა ხელი?**

— ერთადერთი რეალური შანსი მომეცა და... გეხსომებათ, ბათუმში საქართველოს ნაკრები ბრაზილიურ „პალმეირასს" შეხვდა. მაშინ მეორე ტაიმი ვითამაშე და მატჩის შემდეგ სასტუმრო „ინტურისტში" დიდი ბანკეტი იყო. მეც იქ მივდიოდი, ფოიეში ორი კაცი რომ შემხვდა. ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ტუღუშიაო და თურქულად დამიწყეს ლაპარაკი. ვერაფერი გავიგე. მერე ერთმა დამტვრეული ინგლისურით, გოუ ტრაბზონო, მითხრა. მივხვდი, „ტრაბზონსფორის" აგენტები იყვნენ და „ბათუმის" ხელმძღვანელობასთან გავუშვი, იმათ მოელაპარაკეთ-მეთქი. იმის მერე აღარაფერი გამიგია. ის თურქები არსად გამოჩენილან. და ყველაზე გულდასაწყვეტი იცი, რა არის? ორი თუ სამი თვის მერე „ტრაბზონში" შოთა და აჩიკო არველაძეები გადავიდნენ. მე კი წლების მერე გავიგე, რომ ჩემს სანაცვლოდ მილიონი მოუთხოვიათ... საინტერესოა, ვინ გადაიხდიდა ტუღუშში მილიონს? ეს ხომ აბსურდი იყო.

**— და წახვედი ისრაელში...**

— ეს ვარიანტი მოულოდნელად გამოჩნდა. „ბნეი იეჰუდაში" ერთი სეზონი ვითამაშე. მერე ბათუმში დავბრუნდი და... ასლან სმირბამ და გუნდის ხელმძღვანელებმა მითხრეს, „ბათუმში" დარჩიო. ვილაპარაკეთ და შევთანხმდით კიდეც. რასაც ისრაელში მიხდიდნენ, „ბათუმში" იმის ნახევარზეც თანახმა ვიყავი. როგორც შენ აიღე ის შეპირებული ფული, ისე ავიღე მე... კიდევ ერთხელ მოვტყუვდი.

**— ყველა „ტუხათი" გიცნობს, ესეც ფეხბურთთანაა დაკავშირებული?**

— ბავშვობაში შემარქვეს. თავიდან გვარის მიხედვით „ტულას" მეძახდნენ, მაგრამ მერე „ტუხად" გადაკეთდა. ერთხელ მე, ვახტანგ ქორიძე და მისი ვაჟი გელა ვისხედით და ვსაუბრობდით. უცებ „აღმოვაჩინე", რომ სამივე „ტუხა" ვიყავით. ჰოდა, ვახოს ვუთხარი, აგერ, შენი სახელის გამგრძელებლები რა ბიჭები ვართ-მეთქი. გულიანად იცინა, აბა, კიო...

**— ბოლოს: რას ეტყვი პატარა ბიჭებს, რომლებიც ბურთს დასდევენ...**

— გული და სული ჩადონ საქმეში. ყოველგვარ სიამოვნებაზე უარი თქვან და ფეხბურთზე იფიქრონ. ივარჯიშონ, იშრომონ და დაუფასდებათ. ღმერთი ყველაფერს ხედავს და შრომას წყალში არავის ჩაუყრის. მე თავი დავიღუპე და ასეთი შეცდომები არ გაიმეორონ, თორემ მერე ისევე ინანებენ, როგორც მე ვნანობ ახლა.

**კახა შალამბერიძე**

# აბა, ერთი ტონით მაღლა! ახლა საფეხბურთო ხმების ჯერია

*თავისებური სუნთქვა და გულის ფეთქვაა ეროვნული ჩემპიონატი, რომლის მეორე ეტაპი დღეს იწყება და რომელსაც პროფესიული ლიგა უკვე დამოუკიდებლად ატარებს*

მსაჯის ცემა 4 000 ლარით დაისჯება — როგორც იქნა, ამ პრობლემის მოგვარების კარგი პერსპექტივა გამოჩნდა და ვინძლო, გალახული მსაჯები აღარც ვნახოთ. მაგრამ რა ვუყოთ მიკერძოებულ მსაჯობას? პროფლიგა აპირებს, მსაჯების შემმოწმებელმა საინსპექციო კომიტეტმა ცალკე იფუნქციოს და არა მსაჯთა კომიტეტთან ერთად — ეს მსაჯთა კორუფციის წინააღმდეგ კარგი საშუალება ჩანს. ერთი შეხედვით, მსაჯების საკითხი კარგად აუწონია პროფლიგას, თუმც თასის მერვედფინალის ამასწინანდელი „თბილისი"—„ლოკომოტივი" გავიხსენოთ — არბიტრ მალაღურაძეზე ლოკომოტიველებმა თქვეს, მის ხელში მეოთხედფინალში გასვლა არ გვეწერაო.

ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ გულშემატკივარი სტადიონს დაუბრუნდეს. მაგრამ აქ უკვე პროფლიგა თუ რომელიმე ერთი, ნებისმიერი ორგანიზაცია მარტო ვერაფერს გახდება — საფეხბურთო კულტურა ყველამ ერთად უნდა შევქმნათ. მაგალითად, ავიღოთ თბილისის „ლოკომოტივი". კლუბის ყოფილი პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე გუნდს საქართველოს კვალობაზე გვარიან ფულს ახარჯავდა, მაგრამ ვაკეში, იმ უბანში, სადაც „ლოკომოტივი" თამაშობს, ვერსად ნახავდით და ნახავთ აფიშას, რომელიც იუწყება, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე „ლოკომოტივი" შინ ამ თუ იმ გუნდს ეთამაშება. რისთვის იხარჯება ფული, თუ ხალხი სტადიონზე არ დადის?!

გულშემატკივარი ძირითადად პროვინციებში დადიოდა საფეხბურთო მატჩებზე — ქუთაისი და ბოლნისი საკმაოდ ძლიერ კერებს წარმოადგენდნენ, მაგრამ „ტორპედო" ახლა ქვედა ექვსეულშია, ხოლო „სიონი" პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული ხელმძღვანელობის ცვლით რას გახდება, აწი ვნახოთ. როგორც უნდა იყოს, ქუთაისსა და ბოლნისში ხალხი სტადიონისკენ მაინც განსაკუთრებულად იწევს. არც გორშია ნაკლები ინტერესი „დილას" თამაშების მიმართ.

პროფლიგა ჩემპიონატისა და თასის გამორჩეულ მატჩებზე შოუებს რომ გეგმავს, კარგია, მაგრამ გულშემატკივრების სტადიონზე მოსაყვანად კლუბებმაც სერიოზულად უნდა იმუშაონ, მით უმეტეს, დაძაბულობასა და ინტრიგას ჩემპიონატისა და თასის თამაშებს ნაღდად ვერ დავუწუნებთ.

...თბილისის „დინამო" — საქართველოს ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა ისტორია თანამეგობრობის თასის მოგებითაც დაიმშვენა და მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მოგების ყველაზე დიდი შანსიც აქვს. მეორე ეტაპის წინ „დინამოდან" ოთხი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, ტრავმირებული ლადო ბურდული კი სეზონის ბოლოსთვის თუ დაეხმარება გუნდს, მაგრამ „დინამო" მაინც ყველაზე ძლიერი ჩანს — საქართველოს ჩემპიონატში „დინამოს" საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს — ვფიქრობთ, ეს არცთუ ძალიან თამამი აზრია.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომდევნო სეზონისთვის „დინამოს" ივო შუშაკი აღარ გაწვრთნის, თუმც ირიბად თქმული ან კულუარული ინფორმაციები ყოველთვის ასი პროცენტით ვერ მართლდება. შუშაკმა საქართველოშიც დაამტკიცა, რომ ის მართლა მწვრთნელია და ამ ხელობას არ იბრალებს მიუხედავად იმისა, რომ „ტირანასთან" შარშანდელი მარცხიც გვახსოვს. მაგრამ, მოდით, საკითხი ასეც დავაყენოთ — „დინამოს" რომელი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა შუშაკის ხელში? სანდრო იაშვილს აქამდე ასაკობრივ ნაკრებებში ჩინებული თამაშით ვიცნობდით, შუშაკმა კი ის უკვე „დინამოს" ჩინებულ ფეხბურთელად აქცია — 19 წლის იაშვილს ძალიან ბევრი შეუძლია, შუშაკს კი ის, რომ ყველაფერი ეს აქტივში ჩაიწეროს.

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „დინამოს" მთავარ კონკურენტად „ვიტ ჯორჯიას" მიიჩნევენ, თუმც დიდი მიზნებისთვის შემართული კლუბისთვის „ვიტ ჯორჯიას" ერთობ ორიგინალური სტრატეგია აურჩევია — მეტწილად თავისი აღზრდილი კადრებით კომპლექტდება და სხვა გუნდებიდან გამორჩეულ ფეხბურთელებს არ იწვევს. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, ასეთი სტრატეგია რომ სწორია, მალე გამოჩნდებაო და ჩვენც მალე ველით ამ „მალეს". საინტერესო ფეხბურთელები კი ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიასაც" გამოუჩნდნენ — მცველი დავით იმედაშვილი და შემტევი ოთარ მარცვალაძე.

ნებისმიერი მეტოქისთვის რეტის დასხმა შეუძლია „თბილისს", მაგრამ ჩემპიონობისთვის ეს გუნდი ჯერ მოუმწიფებელია. რომელიმე ევროტურნირის საგზურის მოპოვებისთვის კი თბილისელებს კარგი შანსი აქვთ.

საინტერესო გუნდად უნდა წარმოგვიდგეს „ლოკომოტივი". რკინიგზელებს ძველებური დაფინანსება აღარ აქვთ, მაგრამ მოთამაშეთა შერჩევით ალბათ მხოლოდ „დინამოს" თუ ჩამოუვარდებიან.

გასვლაზე ტრადიციულად ძნელი იქნება „დილასთან" და „სიონთან" თამაში — გორში და ბოლნისში ბევრს მოუწევს ქულების დატოვება.

ქვედა ექვსეულში ყველაზე ღონიერი გუნდი „ტორპედოა", რომელიც თასზე კარგი თამაშით შეეცდება, ამ სეზონში რამეს გამორჩეს. უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ უნდა დაემუქროს ისეთ ტრადიციულ გუნდებს, „ბათუმი" და „კოლხეთი" რომ არიან. „სპარტაკის" პრეზიდენტი როლანდ ჩხაიძე კი დაგვპირდა, სამ წელიწადში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი მეყოლებაო. „მცხეთა" და „მერცხალი" — ახლა მათი ჯერია, სათქმელი თვითონ თქვან.

მოკლედ, მძაფრი სიუჟეტი მეორე ეტაპს არ უნდა აკლდეს და იქნებ ეს თავისებური ანდამატიც იყოს გულშემატკივრებისთვის — წვივსაფართა ჭახანის გარდა სტადიონიდან სხვა საფეხბურთო ხმებიც ხომ უნდა ისმოდეს?!

**დავით თავართქილაძე**

## დინამო — ლოკომოტივი დანაკლისით ჩაივლის, მაყურებელმა კი იყიდოს



ლევან სილაგაძე

**დღევანდელი** ტურის ცენტრალურ მატჩს თბილისური კლუბები „დინამო" და „ლოკომოტივი" დანაკლისით ხვდებიან. დინამოელები ირაკლი ზოიძეს მოისაკლისებენ. მას სიცხიანობის გამო ორი დღე არ უვარჯიშია. მის სანაცვლოდ „დინამო 2"-დან ირაკლი თოთლაძე გამოიძახეს. მას დღეს გუნდის 18-კაციან განაცხადში შეიყვანენ. ხმალაძე მსუბუქი ტრავმის გამო გამოტოვებს თამაშს. სამაგიეროდ, დინამოელებმა, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს სილაგაძის საკითხი — მას რუსეთიდან გათავისუფლების ფურცელი ჩამოუვიდა და ახლა უკვე შუშაკის გადასაწყვეტია, ათამაშებს თუ არა.

თავის მხრივ დანაკლისს ვერც „ლოკომოტივი" გადაურჩა. „დინამოს" ზაზა ზირაქაშვილი ვერ შეუტევს — ამის საშუალებას „თბილისთან" სათასო მატჩში მიღებული ტრავმა არ აძლევს. გარდა ამისა, კლუბებს შორის ჯენტლმენური გარიგების თანახმად, „დინამოს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს გიორგი მიქაძე; არჩილ სახვაძე იმავე „თბილისთან" სათასო შეხვედრისას მიღებული წითელი ბარათის გამო ვერ დაეხმარება თავისიანებს. „ლოკომოტივის" სამწვრთნელო შტაბში კი გადაწყვიტეს, რომ ის ორი დინამოელი, რომელიც დღეს რკინიგზელთა შემადგენლობაში ითამაშებს, მამალაძე და ვაშაკაძე იქნებიან.

„დინამო" კი თავის ქომაგებს სასურველ სერვისს სთავაზობს: დღეს სტადიონის ტერიტორიაზე გაიყიდება კლუბის სიმბოლიკით დამშვენებული შარფები, ქუდები და საყვირები. მომავალში ასორტიმენტი გაიზრდება.

**დავით ერაძე**

| საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი | 15 | ჩემპიონატი | 1 ტური |
|---|---|---|---|

თბილისი. 18 მარტი. 15 საათი. ეროვნული

### დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

მცხეთა. 18 მარტი. 15 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თბილისი. 18 მარტი. 15 საათი. ისანი

### თბილისი — დილა

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ქუთაისი. 18 მარტი. 15 საათი. ტორპედო

### ტორპედო — მერცხალი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ვადაჭკორია (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

მცხეთა. 19 მარტი. 15 საათი. არმაზი

### მცხეთა — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედი); გ. ასკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

### ბათუმი — სპარტაკი

**გადაიდო**



ბევრი იარა თუ ცოტა, ჩემპიონატის ბოლნისელი ბომბარდირი ბორის გონჩაროვი ისევ ბოლნისშია და ისევ დაემუქრება ვიტჯორჯიელებს

**სატურნირო ვითარება განახევრებული ქულებით**

| I-VI ადგილები | | | | | | | VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 21 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 16 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 20 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 | მცხეთა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 | სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 | მერცხალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 15 - გონჩაროვი | სიონი |
| 14 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 13 - დავითაშვილი | თბილისი |
| 10 - კაკალაძე | ბათუმი |
| ახალაია | დინამო |
| 9 - ა. კაიდარაშვილი | დილა |
| მიქუჩაძე | თბილისი |

*ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის ბომბარდირთა დაფაში ის შეიცვალა, რომ ზოგმა მათგანმა კლუბი გამოიცვალა: სულიკო დავითაშვილი ახლა ტორპედოელია, მიხეილ კაკალაძე დინამოელი, ალეკო კაიდარაშვილი კი პირველლიგელ „ამერში" გადავიდა*

**სატურნირო ვითარება პირველი ეტაპის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 15 | 5 | 2 | 49:8 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 6 | 4 | 38:15 | 42 |
| სიონი | 22 | 11 | 7 | 4 | 31:18 | 40 |
| თბილისი | 22 | 10 | 5 | 7 | 41:26 | 35 |
| დილა | 22 | 10 | 4 | 8 | 28:20 | 34 |
| ლოკომოტივი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:24 | 34 |
| ტორპედო | 22 | 10 | 4 | 8 | 27:24 | 34 |
| ბათუმი | 22 | 10 | 2 | 10 | 26:28 | 32 |
| კოლხეთი | 22 | 7 | 3 | 12 | 18:35 | 24 |
| მცხეთა | 22 | 6 | 2 | 14 | 25:55 | 20 |
| სპარტაკი | 22 | 4 | 4 | 14 | 14:47 | 16 |
| მერცხალი | 22 | 2 | 4 | 16 | 18:45 | 10 |

# საქართველოს XV ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განაცხადები

## დინამო თბილისი

**მეკარეები**
ირაკლი ზოიძე
დავით გვარამაძე

**მცველები**
მამუკა წერეთელი
გიორგი შაშიაშვილი
კარლოს და როშა
შოთა კაშია
ლევან სილაგაძე
ილია კანდელაკი

**ნახევარმცველები**
დავით კვირკველია
ალექსანდრე გოგობერიშვილი
ვლადიმერ ბურდული
გიორგი ანჩაბაძე
სეზარ რომერო
გიორგი ნემსაძე
დავით ქოქიაშვილი
ლევან ხმალაძე

**თავდამსხმელები**
სანდრო იაშვილი
ლევან მელქაძე
ლადო ახალაია
მიხეილ ბობოხიძე
მიხეილ კაკალაძე

*მწვრთნელი: ივო შუშაკი*
*პრეზიდენტი: ბადრი პატარკაციშვილი*

## ვიტ ჯორჯია თბილისი

**მეკარეები**
მირზა მერლანი
დავით მამარდაშვილი

**მცველები**
თენგიზ კობიაშვილი
ალექსანდრე ინწკირველი
გიორგი კვახაძე
დავით იმედაშვილი
ლევან მერებაშვილი
აკაკი კუპრეიშვილი

**ნახევარმცველები**
ოლეგ გველესიანი
ლაშა ნოზაძე
გიორგი დეკანოსიძე
დავით დიღმელაშვილი
გიორგი ფეიქრიშვილი
პაატა დათუნაიშვილი
ირაკლი შენგელია

**თავდამსხმელები**
გიორგი ადამია
ოთარ მარცვალაძე
ვლადიმერ გოჩაშვილი
რევაზ გოცირიძე
ერეკლე მერებაშვილი
კახა ბერელიძე
ირაკლი ებანოიძე

*მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე*
*პრეზიდენტი: გურამ რუხაძე*

## სიონი ბოლნისი

**მეკარეები**
თემურ ვოლკოვი
ავთანდილ ლაბაძე

**მცველები**
დავით ბაქრაძე
დავით ჭიჭველიშვილი
ზაზა კვეკვესკირი
დავით სვანიძე
ავქსენტი გილაური
ალექსანდრე ბურნაძე
როინ ონიანი

**ნახევარმცველები**
იური გაბისკირია
კონსტანტინე დარსანია
თენგიზ სიჭინავა
კახა დაუშვილი
თენგიზ უგრეხელიძე

**თავდამსხმელები**
შალვა ისიანი
გიორგი შენგელია
ჰამლეტ წივწივაძე
ბორის გონჩაროვი
ელდარ გვასალია

*მწვრთნელი: თემურ მახარაძე*
*პრეზიდენტი: ვასილ ცოტაძე*

## თბილისი

**მეკარეები**
სოსო გრიშიკაშვილი
რევაზ ნაჭყეპია

**მცველები**
კახა სიდამონიძე
გიორგი ლოლაძე
ბესიკ მიქიაშვილი
რევაზ ქემოკლიძე
ზაალ ელიავა
ავთანდილ ტომარაძე

**ნახევარმცველები**
გივი კვარაცხელია
თორნიკე აფციაური
გოჩა ხოჯავა
გოგიტა გოგუა
შოთა ჯიქია
მიხეილ მესხი
ბექა ვერულაშვილი
გიორგი ფიფია
გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე

**თავდამსხმელები**
დავით ოდიკაძე
აკაკი მიკუჩაძე
გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე
თეიმურაზ ბარამიძე

*მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი*
*პრეზიდენტი: ნიკოლოზ დოლიძე*

## დილა გორი

**მეკარეები**
რამაზ სოლოლაშვილი
თამაზ ილურიძე

**მცველები**
რევაზ ხაჭაპურიძე
პაატა ფეზუაშვილი
ლევან გოჩაშვილი
გიორგი ბალაშვილი
გაგა ჩიტაია

**ნახევარმცველები**
არჩილ ოლგესაშვილი
გიორგი ლომიძე
ზაზა ლაცაბიძე
საბა სულთანიშვილი
ლუკა რაზმაძე
ალბერტ საყვარელიძე
ქრისტეფორე შატაკიშვილი
კობა ხანიშვილი
დავით ჯობაძე

**თავდამსხმელები**
მერაბ ძოძუაშვილი
ბექა ჩიტაია
ზურაბ მუშკუდიანი
ალექსანდრე ლაბაძე

მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი
პრეზიდენტი: გელა ჩხეიძე

## ლოკომოტივი თბილისი

**მეკარეები**
ზურაბ მამალაძე
ზვიად ხაჩირაშვილი

**მცველები**
ზაზა ზამთარაძე
ირაკლი ვაშაკიძე
ლაშა სალუქვაძე
სერგო ორბელაძე
რამაზ სვანაძე

**ნახევარმცველები**
დავით დოლიძე
ზურაბ ძამსაშვილი
გიორგი მანწკავა
მიხეილ სოსელია
დავით დათვაძე
გიორგი ლილუაშვილი
ირაკლი მორჩილაძე
ვალერი გაგუა
არჩილ სახვაძე

**თავდამსხმელები**
გიორგი მიქაძე
ზაზა ზირაქიშვილი
რამაზ გოგინაშვილი

*მწვრთნელი: ზაურ სვანაძე*
*პრეზიდენტი: ლაშა გოცირიძე*

## ტორპედო ქუთაისი

**მეკარეები**
ზვიად სტურუა
გიორგი გაბელია

**მცველები**
ლაშა ჭელიძე
მიხეილ მახვილაძე
სევასტი თოდუა
ალექსანდრე ლალაძე
მალხაზ ჭინჭარაული
ლაშა ადუაშვილი

**ნახევარმცველები**
ალექსანდრე კოშკაძე
დავით ბოლქვაძე
ნიკა ნადირაძე
გიორგი ნერგაძე
შოთა ბაბუნაშვილი
გიორგი მემარნიშვილი
დავით გამეზარდაშვილი

**თავდამსხმელები**
სულიკო დავითაშვილი
გიორგი დარსაძე
გაგა ჩხეტიანი
შალვა მუმლაძე

*მწვრთნელი: ოთარ გაბელია*
*პრეზიდენტი: ზურაბ ხინიკაძე*

## ბათუმი

**მეკარეები**
ზურაბ ქვაჩახია
ირაკლი ბალაძე

**მცველები**
ივანე მახარაძე
ბეგლარ თედორაძე
ნიკა გუშარაშვილი
ნუკრი მანჩხავა
ვალერი გეგეშიძე

**ნახევარმცველები**
ვიტალი დარჩიძე
არჩილ რომანაძე
ავთანდილ გვიანიძე
ბესო თედორაძე
კახა კობიძე
მამუკა სალუქვაძე

**თავდამსხმელები**
დიმიტრი ფირცხალაიშვილი
ირაკლი სირბილაძე
გიგა ბეჟანიძე

*მწვრთნელი: ასლან ბალაძე*
*პრეზიდენტი: თემურ ბეჟანიძე*

## კოლხეთი ფოთი

**მეკარეები**
ზურაბ ბათიაშვილი
ბიძინა ჩემია

**მცველები**
ილია ქუტიძე
დავით ნარსია
შალვა ლონლაძე
ზურაბ მინდაძე
თემურ წურწუმია
კახა გოროზია
გურამ ბალათურია
კახა თურქია
დავით ჭითანავა

**ნახევარმცველები**
მიხეილ ქობულაძე
ჯონი შალამბერიძე
ზაველ ლალანიძე
ლევან ხურცილავა
მიხეილ თაყაძე
ედიშერ მარგალიტაძე
ვასილ კუნჭულია
ჯონი კალანდაძე
გიორგი კრასოვსკი
დავით ლოლუა

**თავდამსხმელები**
ვლადიმერ გაბედავა
ზვიად ქუთათელაძე
გიორგი ტყებუჩავა
ნოშრევან ნარსია

*მწვრთნელი: დავით მახარაძე*
*პრეზიდენტი: ჯემალ ინაიშვილი*

## მცხეთა

**მეკარეები**
გიორგი ცინაძე
თამაზ ოდიკაძე

**მცველები**
თემურ თირქია
გიორგი ქებაძე
გიორგი მუშუქია
დავით კარიაული
ალექსანდრე კახნიაშვილი

**ნახევარმცველები**
ბექა ნოზაძე
გიორგი სირაძე
გიორგი ხაჩიძე
ლაშა ჩხაიძე
ზურაბ ავალიანი
ლაშა გვარუციძე
თემურ რაქვიაშვილი
კახა სიამაშვილი
ლაშა ქებაძე
ლევან ჩაჩუა
ირაკლი სუბელიანი

**თავდამსხმელები**
დიმიტრი პარამონოვი
დავით ჩილვინაძე
ვლადიმერ ქუთათელაძე
ლევან მელიქია

*მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე*
*პრეზიდენტი: ვაჟა თოფურია*

## სპარტაკი თბილისი

**მეკარეები**
აკაკი დევაძე
ბექა გრძელიძე

**მცველები**
ლაშა დონდოლაძე
ალექსანდრე იმნაიშვილი
ლევან თურქია
რატი ტაბიძე
თენგიზ ჩიკვილაძე
გიგა ჟვანია

**ნახევარმცველები**
გიორგი კიკნაძე
კობა შალამბერიძე
ირაკლი სამხარაძე
გიგა კვერენჩხილაძე
ლაშა ვაშაკიძე
გიორგი პაპუაშვილი
ლაშა ჯანგიძე

**თავდამსხმელები**
დიმიტრი ტატანაშვილი
სანდრო შელია
დავით მაღლაფერიძე
გიორგი დანელია
არჩილ ივეჩიანი

*მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა*
*პრეზიდენტი: როლანდ ჩხაიძე*

## მერცხალი ოზურგეთი

**მეკარეები**
გია გოგუა
კახაბერ როხაძე

**მცველები**
გია მოწყობილი
ლუხუმ ჯაბუა
უჩა ჩხაიძე
ნოდარ ებრალიძე
გოჩა წილოსანი
ლევან მდივნიშვილი
გოდერძი კვირკვია

**ნახევარმცველები**
დავით მარგალიტაძე
მიხეილ ოქიტაშვილი
გურამ თორია
მიხეილ კობაური
შოთა მანჯავიძე
ირაკლი რუხაძე
კარლო მიქაბერიძე

**თავდამსხმელები**
აკაკი ქილიფთარი
ლაშა ჭალიაშვილი
ირაკლი მებონია
დავით ხუჭუა
გელა ბართია
რამაზ ასკურავა

*მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი*
*პრეზიდენტი: გიორგი მამაკაიშვილი*

# ტკივილიანი ცეკვა

## ტრაპატონი ბაჯოს ესპანეთს აჩუქებს

*საბოლოოდ გადავწყვიტე წასვლა — თქვა ლეგენდარულმა რობერტო ბაჯომ, როდესაც იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში სერია A-ში თავისი მე-200 გოლი გაიტანა — ფეხბურთის თამაშისთვის ხომ ისედაც უნდა დამენებებინა თავი და ამას ბოლოხანს დაგროვებული ჯანმრთელობის და ფიზიკური ფორმის პრობლემებიც რომ დაემატა, ამ ნაბიჯის გადასადგმელად საუკეთესო მომენტიც დადგა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, „ცხენისკუდას" კვლავაც უამრავი ადამიანი თხოვს კიდევ დარჩეს, მაგრამ იგი უარზეა და ამბობს, რომ იტალიაში ახალი თაობა გამოჩნდა, რომელიც პატივისცემას იმსახურებს:

„გარშემო უამრავი იმედისმომცემი ახალგაზრდაა, ერთი მათგანი კი ყველასგან გამოირჩევა და ის ანტონიო კასანო გახლავთ, ის ძალიან ნიჭიერია. იტალიის ნაკრებმა მისი სახით დიდი ძალა შეიძინა".

მოგეხსენებათ, კარიერის განმავლობაში ბაჯოს ბევრი წინააღმდეგობა დახვედრია, მას ხშირად ეპყრობოდნენ უსამართლოდ და ასე განსაჯეთ, ამხელა ფეხბურთელს ხეირიანად ჩემპიონთა ლიგაში არც კი უთამაშია, მაგრამ ბოლო ტკივილი ფიზიკური უფრო ჰქონდა, ვიდრე მორალური.

„მუხლზე ექვს ოპერაციას რომ გადაიტან, მერწმუნეთ, დაღს დაგასვამს, დღეს ამ ოპერაციათა შედეგს ერთად ვიწვნევ. არადა, ვწუხვარ, ფეხბურთიდან წასვლა რომ მიხდება და იმ ქომაგებს დავწყვეტ გულს, რომლებიც მთელი კარიერის მანძილზე მხარს მიჭერდნენ".

მავანთ კი სურთ რომ რომ ბაჯოს გედის სიმღერა ძალიან ლამაზად შესრულდეს — იჯერებენ, 37 წლის ვეტერანი ათენის ოლიმპიადაზე ითამაშებსო.

„ამ უნიკალურ ექსპერიმენტში სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას, თუმცა გულწრფელად რომ გითხრათ, არ მჯერა ასე მოხდეს. მგონი, გუნდს უკვე კარგად დამუშავებული პროგრამა და გეგმა აქვს, რომელშიც მე ვერ შევდივარ".

იმოგეხსენებათ, ოლიმპიურ ნაკრებში 21 წელზე უმცროსი ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა სამი ასაკს გადაცილებული წევრის დამატება შეუძლიათ. ცნობისთვის: იტალიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი წარსულში „სკუადრა აძურას" მცველი კლაუდიო ჯენტილე გახლავთ. მაგრამ ბაჯო უკვე წარსულით ცხოვრობს.

„კვირას ოცნება ავისრულე — თქვა უკვე 200 გოლის გამტანმა „კორიერე დელა სერასთვის" მიცემულ ინტერვიუში — ალბათ, სწორედ ეს მიზანი მამოძრავებდა 1984 წლის 19 მაისიდან, როდესაც ნეაპოლში პირველი გოლი გავიტანე, 2004 წლის 14 მარტამდე, როდესაც პარმაში მეორასე შევაგდე. ოცნებამ მაჩუქა ამ, მეორასე გოლის გატანის სურვილიცა და მისი შესრულების ხერხიც. ამიერიდან ყველაფერი, რაც ფეხბურთში გადამხდა, დიდებულ მოგონებად მექცევა".

არა, უამრავი ადამიანის სურვილის მიუხედავად, ლეგენდარული ფეხბურთელი მაისში ისტორიას მიეცემა.

„ჩემი კარიერა მთლიანად შედგებოდა სიამოვნებისგან და ძალიან უცნაურ ცეკვაში ადგილების ცვლით ნაწვნევი ტკივილისგან, მაგრამ ყოველი მომენტისთვის დიდ მადლობას ვამბობ. გმადლობთ, ცუდისთვის და კარგისთვის და რა თქმა უნდა იმისთვის, რომ თავი მარტო არასდროს მიგრძვნია" — დაავგვირგვინა დიადმა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ კი მას კიდევ ერთი თამაში უძღვნა:

„ბაჯოსთვის სიტყვა მაქვს მიცემული, რომ 28 აპრილს, გენუაში, ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ვათამაშებ და ამით პატივს მივაგებ იმ ღვაწლს, რომელიც მას ფეხბურთის განვითარებაში მიუძღვის. მეტიც, მინდა ამ შეხვედრაში მას მეათე ნომერი ეცვას, რადგან ის ერთ-ერთი იმ ათნომრიანთაგანია, რომელთაც ისტორია შექმნეს".

ბაჯომ ნაკრებში ბოლო, 55-ე შეხვედრა 1999 წლის მარტში ჩაატარა. ეს გახლდათ ანკონაში, იტალიის და ბელარუსის მატჩი.

„ჩვენი დაპირისპირება ბევრმა სცადა, მაგრამ მე მის მიმართ უტაქტოდ არასდროს მოვქცეულვარ. ბაჯომ ფეხბურთს კვალი დაამჩნია და არა მხოლოდ იტალიაში. მისი კარიერის გამორჩეულობა გასულ კვირას მეორასე გოლითაც დადასტურდა. სერიოზული ტრავმები რომ არა, იგი კიდევ უფრო დიდ სიმაღლეებს მიაღწევდა" — დასძინა მწვრთნელმა.

**პაპუნა ძიდია**



# მე ვარ და ჩემი მილანი!

## ბერლუსკონიმ გაზეთი გაშალა და ტონი შეცვალა

*იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ამბობს, რომ „მილანის" დიადი წარმატებები თუ ვინმეს დამსახურებაა, უპირველეს ყოვლისა მისი და მხოლოდ შემდეგ სხვების*

„ბოლო 18 წელიწადია ფეხბურთელებს მე ვარჩევ, მე ვყიდულობ და გუნდსაც მე ვარგებ, მაგრამ ბერლუსკონის „მილანზე" მაინც არავინ ლაპარაკობს. ყოველთვის მესმის საკის „მილანი" და ანჩელოტის „მილანი" — თქვა „შავ-წითელთა" პრეზიდენტმა, რომელმაც ძალიან კარგად იცის როგორ გააოცოს საზოგადოება თავისი გამონათქვამებით. ამასთან შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ, როდესაც „მილანის" მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ ნახევარდაცვით ზედმეტი გატაცების გამო მოედანს თავდამსხმელი მოაკლო, ბერლუსკონმა არც აცია, არც აცხელა და ორთავდამსხმელიან სქემაზე დაბრუნება მოსთხოვა — წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდიდან წახვალო.

„ამ დილით გაზეთებს გადავხედე და ვნახე, რომ „მილანთან" დაკავშირებით ყველას აქებენ ჩემს გარდა. დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს არც ვარსებობ" — განმარტა პრემიერმა თავისი განაწყენების მიზეზი.

ხოლო გუნდის პორტუგალიელმა ვარსკვლავმა მანუელ რუი კოშტამ თქვა, რომ 2004 წლის ევროპის პირველობამდე თავის მომავალზე არაფერს იტყვის — ამბობდნენ, რომ მის გადაბირებას მშობლიური ქვეყნის ერთ-ერთი დიდი გუნდი, „ბენფიკა" ცდილობს.

„არასდროს დამიმალავს, რომ კარიერა სადაც დავიწყე, იქ მინდა დავამთავრო. ახლა კი „ბენფიკას" ხემძღვანელებთან არანაირი ოფიციალური კონტაქტი არ არსებობს და არც მხოლოდ ჩემს სურვილზეა ყველაფერი დამოკიდებული" — თქვა გამთამაშებელმა, რომლის როლი „მილანში" მნიშვნელოვნად შეზღუდა ბრაზილიელმა კაკამ.

**პაპუნა ძიდია**



მანუელ რუი კოშტა

# ნაძალადევი ფინალი

## დი სტეფანო ბანკის ძარცვისთვის დააკავეს

**რა კავშირი** აქვს ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ ფინალს ერთ-ერთ მილანურ ბანკთან? გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის 2003 წლის ფინალი მანჩესტერში გაიმართა და ერთმანეთს „მილანი" და „იუვენტუსი" შეხვდნენ, მატჩამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე კი „შავ-წითელთა" ქალაქში ბანკი გაძარცვეს.

იტალიელი პოლიციელები მძარცველთა კვალს მაშინვე დაადგნენ, მაგრამ დამნაშავეები დაუსხლტნენ. თითქმის ათთვიანი გამოძიების შემდეგ პოლიციამ ძებნილს მიაგნო. იგი 21 წლის კოსიმო დი სტეფანო გახლავთ.

აღმოჩნდა, რომ დი სტეფანოს და მის ორ დამქაშს მანჩესტერში ფინალის სანახავად წასვლა სურდათ, ბიჭებს კი საამისოდ ფული არ ჰქონდათ და ბანკის დაყაჩაღება გადაწყვიტეს.

სამკაციანმა ბანდამ საქმე ასე გაინაწილა: ერთი კაცი შენობის კუთხესთან მოტოციკლეტით ელოდა ორს, რომლებიც ბანკში შეცვივდნენ და იარაღის მუქარით 4 400 ევრო ჩაიჯიბეს. მათ მაშინ მანჩესტერისკენ გასწიეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ წლის მაისში გასამართ ფინალს კვლავ სტადიონის ტრიბუნიდან უყურონ.

**გაჟა ხუციშვილი**




# კლი-მაქსი

## ვიერიმ და ავსტრალიამ ერთმანეთი ვერ დაივიწყეს

**ცნობილი** კრისტიან ვიერის უმცროსი ძმა, მაქსი, კმაყოფილია, რომ ავსტრალიის ნაკრებში მიიწვიეს. მაქს ვიერი „ნაპოლში" თამაშობს. იგი სიდნეიშია დაბადებული, სადაც, მამა „მარკონიში" თამაშობდა. დღეს გაირკვა, რომ მაქსი ავსტრალიის ნაკრების მაისურით 30 მარტს, სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ გავა მოედანზე.

„დიდებული გრძნობაა — ამბობს სერია B-ს ფეხბურთელი, — მე ხომ ავსტრალიაში დავიბადე და თან, 2006 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს ვოცნებობ. ერთი სიტყვით, კმაყოფილი გახლავართ, რასაც ემატება ის, რომ ნაკრების რამდენიმე წევრთან ერთად ბავშვობაში ვაგორებდი ბურთს".

საინტერესოა, რომ უმცროსმა ვიერიმ ავსტრალიის ნაკრებში თამაშის სურვილი ერთი თვის წინ თავად გამოთქვა.

აქავე ვთქვათ, რომ ვიერის მსგავსად სამშობლოსთვის თავის შეხსენებას „ვიჩენცას" ვენესუელელი თავდამსხმელი მასიმო მარჯოტაც ლამობს.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზევით და ზევით

## რაიკარდმა სავიოლა გაათავისუფლა

*როდესაც პატრიკ კლუივერტი დაშავებულია, „ბარსელონას“ თავდასხმაში ხავიერ სავიოლას საგანგებო როლი ეკისრება. სავიოლა ძალიან ტექნიკურია, გოლის ალღო აქვს, „ბარსაში“ პირველ სეზონში 49 თამაშში 21 გოლი გაიტანა, მეორეში — 51 შეხვედრაში 20. ამ სეზონში სავიოლას მონაგარი ჯერჯერობით 36 შეხვედრაში 13 გოლია, თუმცა წინ ჯერ ბევრი თამაში ელის და მისი მიზანი, 20 გოლი, სრულიად შესაძლებელია შესრულდეს.*

*გთავაზობთ პატარა არგენტინელის ინტერვიუს, რომელიც „ბარსელონას“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა*



— მესამე სეზონია, „ბარსაში“ თამაშობთ. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი გუნდი საუკეთესოა მათ შორის, რაც თქვენ ამ სამ წელიწადში გინახავთ?

— დიახ, მართლა საუკეთესოა. სეზონის პირველ ნახევარში კარგად აშკარად ვერ ვთამაშობდით, ახლა კი ერთიმეორის მიყოლებით ჩინებული შედეგი ვაჩვენეთ და თვალის სასეირდაც მშვენივრადაც ვთამაშობთ. მოკლედ, ამ ეტაპზე გუნდს ჩინებული დროება უდგას. ყოველი თამაში უკეთესი გამოდის, როგორც გუნდისთვის, ასევე თითოეული მოთამაშისთვის. ეს ორი შემადგენელი ერთად კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ბრწყინვალედაა.

— იქნებ ახლანდელი ტაქტიკა უფრო მოხერხებულია თქვენთვის, ვიდრე ის, რომელსაც გუნდი სეზონის პირველ ნახევარში მისდევდა?

— რაიკარდი ყოველთვის ერთსა და იმავე სისტემას მისდევს — წინ ერთი თავდამსხმელია გაწეული. რაც ის „ბარსელონაში“ მოვიდა, მე სხვა სისტემა არ მინახავს. მგონი, ადრინდელსა და დღევანდელს შორის განსხვავება უფრო ის არის, რომ ახლა ვიმარჯვებთ და ამიტომ ყველაფერი ადვილი გვგონია, დაძაბულები და შებოჭილები აღარ ვართ.

— და დღეს უკვე მესამე ადგილზე ხართ. როგორ ფიქრობთ, სადამდე შეძლებთ ასვლას?

— ჩვენ ზევით და ზევით ასასვლელად ვართ მიმართულნი. მზად ვართ, საამისოდ დიდი მსხვერპლი გავიღოთ. რამდენადაც მე და ჩემს თანაგუნდელებს გვესმის, მიზანი რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავებაა. დღეს „რეალს“ 9 ქულით ჩამოვრჩებით და ეს დიდი სხვაობაა, მაგრამ ჩვენ მათ „ბერნაბეუზე“ უნდა შევხვდეთ და ვიმედოვნებთ, რომ წარმატებას მივაღწევთ.

— ამასთან უეფას თასისთვისაც იბრძვით. შეგიძლიათ „სელტიკთან“ მიღებული წითელი ბარათის ამბავი გვიამბოთ?

— ეს ცუდი მოგონებაა. უცბად ჭკუა დავკარგე, რასაც დღეს ვნანობ. თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში გუნდი მოედანზე 9 კაცით ჩემს გამო დარჩა.

— ჰოდა, რას ფიქრობთ, რის ხარჯზე უნდა დაამარცხოთ „სელტიკი“ „კამპ ნოუზე“?

— „სელტიკი“ ძლიერი გუნდია და კარგი დაცვა ჰყავს. ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ გოლს თამაშის დაწყებიდან მალე გავიტანთ. თუ ასე მოხდება, „სელტიკი“ გაიხსნება და სივრცეებს გამოგვიჩენს. თუ ასე არ მოხდება და გოლს მალე ვერ შევაგდებთ, მაშინ ჩვენი საქმე გართულდება. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ქომაგების მხარდაჭერას ექნება საგანგებო მნიშვნელობა.

— ამ სეზონში 13 გოლი გაქვთ გატანილი. მიზნად რა გაქვთ დასახული?

— საერთოდ ვცდილობ, არაფერი დავთქვა, რადგან ადამიანი დათქმულს რომ ვერ მიაღწევს, გუნება უფუჭდება. მინდა, რაც შეიძლება მეტი გავიტანო, რაც მეც გამახარებს და გუნდსაც წაადგება.

— რამდენიმე საგოლე პასი ხავიმ მოგაწოდათ. რას იტყვით მის ბოლოდროინდელ თამაშზე?

— ის მართლაც დაუჯერებლად კარგად თამაშობს. ხანდახან რჩება შთაბეჭდილება, რომ ხავის ყველაფერი გამოუდის. ის ძალიან დიდ ფეხბურთს თამაშობს და ეჭვი არაა, ჩვენს წარმატებულ სვლაში დიდი წვლილიც მიუძღვის.



პატარა სავიოლას მოხელთება ძნელი საქმეა



# დავიდ ტრეზეგემ ბარსელონისკენ გაიხედა

## ესპანელმა და იტალიელმა ფრანგზე მოილაპარაკეს

**ხუან ლაპორტა** ვალენსიაში საქმიანი ვიზიტით მყოფ „იუვეს“ გენერალურ დირექტორს რობერტო ბეტეგას ესაუბრა და, როგორც პირენეული მედია იუწყება, „კამპ ნოუზე“ დავიდ ტრეზეგეს გადასვლაზე შეთანხმდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ტრეზეგეს დღევანდელი ფასი 25 მილიონი ევროა, რაც „ბარსას“ თავკაცთა გუნება-განწყობაზე არცთუ ისე სასიკეთოდ მოქმედებს, ესპანეთში ფრანგის გადაბარგება ალბათ წარმატებით დაგვირგვინდება. ტურინელ ფორვარდთან დაახლოებული პირნი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ტრეზეგეს აღარ სურს თავისი კარიერის „დელე ალპიზე“ გაგრძელება.

სწორედ ამიტომ, „იუვენტუსისთვის“ გაცილებით უკეთესი იქნება, იტალიაზე გულაცრუებული ვარსკვლავი კონტრაქტის დასრულებამდე ხელსაყრელ ფასად გაასხვისოს. „ბარსასა“ და „ბებერი ქალბატონის“ ვაჭრობას უკავშირდება აგრეთვე ტიაგო მოტასა და ხავიერ სავიოლას შესაძლო აპენინური მომავალი. ტრეზეგეს სანაცვლოდ ლაპორტას ბანაკი არგენტინელ ბაჭიას იმეტებს, ხოლო ბეტეგა და კომპანია იტალიური პასპორტის მქონე მოტათი დაინტერესდა.

ხსენებულ გარიგებას საფუძველი 10 იანვარს ჩაეყარა, როდესაც ედგარ დავიდსმა „იუვეს“ შავ-თეთრი მაისურა კატალონიური ფერებით შეცვალა. მაშინ ორივე კლუბის საქმიანმა ბიძებმა დავიდსის შესახებ სიტყვიერი პაქტი გააფორმეს. ასე რომ, შესაძლოა, „ბარსა“ მომავალ სეზონში კიდევ ერთი ტურინელით გამდიდრდეს...

**ლადო ხომერიკი**

# ბებრის ფასი

## ამადეო კარბონი პენსიაზე ვალენსიაში გავა

**ამადეო კარბონიმ** „ვალენსიასთან“ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა, ესე იგი, იტალიელი ვეტერანი ესპანელებთან გამომშვიდობებას 41 წლისა აპირებს, თუ რა თქმა უნდა, მომავალშიც კარიერის გაგრძელება არ ისურვა...

| 5416 | ჰანსა-ლევერკუზენი | 1,85 | 1,95 |
| 5417 | ჰერტა-ბაიერნი | 2,2 | 1,7 |
| 5418 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1,8 | 2,0 |
| 5419 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 1,7 | 2,2 |
| 5420 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5421 | უდინეზე-იუვენტუსი | 2,0 | 1,8 |
| 5422 | მილანი-პარმა | 1,25 | 3,7 |
| 5423 | ანკონა-ინტერი | 3,0 | 1,4 |
| 5424 | ბოლონია-ბრეშა | 1,75 | 2,1 |
| 5425 | კიევო-სიენა | 1,6 | 2,4 |
| 5426 | ემპოლი-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| 5427 | ლეჩე-პერუჯა | 1,7 | 2,2 |
| 5428 | მოდენა-რეჯინა | 1,7 | 2,2 |
| 5429 | ლაციო-რომა | 1,95 | 1,85 |
| 5430 | ბილბაო-რეალი | 2,0 | 1,8 |
| 5431 | ატლეტიკო-ბეტისი | 1,7 | 2,2 |
| 5432 | ალბასეტე-ვალიადოლიდი | 1,8 | 2,0 |
| 5433 | სევილია-მალაგა | 1,7 | 2,2 |
| 5434 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1,7 | 2,2 |
| 5435 | რასინგი-სელტა | 1,8 | 2,0 |
| 5436 | დეპორტივო-მურსია | 1,15 | 4,0 |
| 5437 | ოსასუნა-ვილიარეალი | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ვალენსია-მალიორკა | 1,3 | 3,4 |
| 5439 | ბარსელონა-სოსიედადი | 1,3 | 3,4 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5502 | არსენალი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ასტონ ვილა-ბლეკბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ჩელსი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ლესტერი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ლივერპული-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ლიდსი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | კიოლნი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | დორტმუნდი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | შალკე-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ჰანსა-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰერტა-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | მილანი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ანკონა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ბოლონია-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | კიევო-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ემპოლი-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ლეჩე-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | მოდენა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ლაციო-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ბილბაო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ატლეტიკო-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ალბასეტე-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | სევილია-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სარაგოსა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | რასინგი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | დეპორტივო-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | ოსასუნა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ვალენსია-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ბარსელონა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5302 | არსენალი-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5303 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 5304 | ჩელსი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5305 | ლესტერი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5306 | ლივერპული-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 5307 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5308 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 5310 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5311 | ლიდსი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5312 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5313 | კიოლნი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 5314 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | შალკე-ჰანოვერი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ჰანზა-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5317 | ჰერტა-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5318 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5319 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5320 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5321 | უდინეზე-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | მილანი-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 5323 | ანკონა-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| 5324 | ბოლონია-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5325 | კიევო-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5326 | ემპოლი-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5327 | ლეჩე-პერუჯა | 1,65 | 1,95 |
| 5328 | მოდენა-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ლაციო-რომა | 1,6 | 2,0 |
| 5330 | ბილბაო-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5331 | ატლეტიკო-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5332 | ალბასეტე-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5333 | სევილია-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 5334 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | რასინგი-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 5336 | დეპორტივო-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5337 | ოსასუნა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ვალენსია-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5339 | ბარსელონა-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.03 19.00 | 6001 | ინგლისი პლ (XXIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.03 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.03 21.00 | 6003 | იტალია A (XXVI) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 20.03 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 19.03 23.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXIX) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 19.03 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXVII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 19.03 22.30 | 6007 | ჰოლანდია Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.03 23.00 | 6008 | ბელგია Iდ (XXVII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5102 | არსენალი-ბოლტონი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5103 | ასტონ ვილა-ბლექბერნი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5104 | ჩელსი-ფულემი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5105 | ლესტერი-ევერტონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5106 | ლივერპული-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5107 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5108 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5109 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5110 | პორტსმუთი-საუთჰემპტონი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5111 | ლიდსი-სიტი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5112 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | კიოლნი-შტუტგარტი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5114 | დორტმუნდი-აინტრახტი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5115 | შალკე-ჰანოვერი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5116 | ჰანზა-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5117 | ჰერტა-ბაიერნი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5118 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5119 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5120 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5121 | უდინეზე-იუვენტუსი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5122 | მილანი-პარმა | 1,75 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5123 | ანკონა-ინტერი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,8 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 5124 | ბოლონია-ბრეშა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5125 | კიევო-სიენა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5126 | ემპოლი-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5127 | ლეჩე-პერუჯა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5128 | მოდენა-რეჯინა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5129 | ლაციო-რომა | 4,2 | !0,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5130 | ბილბაო-რეალი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5131 | ატლეტიკო-ბეტისი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5132 | ალბასეტე-ვალიადოლიდი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5133 | სევილია-მალაგა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5134 | სარაგოსა-ესპანიოლი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5135 | რასინგი-სელტა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5136 | დეპორტივო-მურსია | 1,3 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5137 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5138 | ვალენსია-მალიორკა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5139 | ბარსელონა-სოსიედადი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |

## ფორმულა 1. მალაზია. 19 მარტი. (23.45)

| 8001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 8002 უსწ. წრე | გამარჯვებული გუნდი |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ---------- 1,8 | 8101 ---------- 1,15 | 8201 ---------- 1,1 | 2,2 | ფერარი ---------- 1,3 |
| მონტოია ---------- 4,0 | 8102 ---------- 1,6 | 8202 ---------- 1,2 | 2,8 | უილიამსი ---------- 2,45 |
| რ.შუმახერი ---------- 6,5 | 8103 ---------- 2,1 | 8203 ---------- 1,25 | 3,6 | მაკლარენი ---------- 5,6 |
| რაიკონენი ---------- 8,0 | 8104 ---------- 2,3 | 8204 ---------- 1,28 | 6,0 | რენო ---------- 6,0 |
| ბარიკელო ---------- 5,0 | 8105 ---------- 1,9 | 8205 ---------- 1,2 | 3,5 | ბარი ---------- 21,0 |
| ალონსო ---------- 8,0 | 8106 ---------- 2,3 | 8206 ---------- 1,3 | 9,0 | ტოიოტა ---------- 60,0 |
| კულტჰარდი ---------- 20,0 | 8107 ---------- 3,5 | 8207 ---------- 1,5 | 9,0 | იაგუარი ---------- 54,0 |
| ტრული ---------- 25,0 | 8108 ---------- 4,4 | 8208 ---------- 1,5 | 18,0 | ზაუბერი ---------- 50,0 |
| ბატონი ---------- 30,0 | 8109 ---------- 6,0 | 8209 ---------- 1,8 | 25,0 | ჯორდანი ---------- 93,0 |
| სატო ---------- 75,0 | 8110 ---------- 15,0 | 8210 ---------- 2,5 | 50,0 | მინარდი ---------- 150,0 |
| ჰაისი ---------- 100,0 | 8111 ---------- 20,0 | 8211 ---------- 3,0 | 75,0 | |
| უებერი ---------- 75,0 | 8112 ---------- 15,0 | 8212 ---------- 2,0 | 75,0 | |
| და მატა ---------- 150,0 | 8113 ---------- 30,0 | 8213 ---------- 5,0 | 75,0 | |
| ფიზიკელა ---------- 100,0 | 8114 ---------- 25,0 | 8214 ---------- 4,0 | 75,0 | |
| ჰაიდფელდი ---------- 150,0 | 8115 ---------- 30,0 | 8215 ---------- 5,0 | 75,0 | |
| მასა ---------- 100,0 | 8116 ---------- 30,0 | 8216 ---------- 5,0 | 75,0 | |
| კლიენი ---------- 200,0 | 8117 ---------- 50,0 | 8217 ---------- 6,0 | 100,0 | |
| პანტანო ---------- 250,0 | 8118 ---------- 50,0 | 8218 ---------- 6,0 | 100,0 | |
| ბრუნი ---------- 300,0 | 8119 ---------- 75,0 | 8219 ---------- 10,0 | 100,0 | |
| ბაუმგარტნერი ---------- 300,0 | 8120 ---------- 75,0 | 8220 ---------- 10,0 | 100,0 | |



ნაკრების თავკაცებმა რუსეთთან თამაშის შემდეგ ახალი თაობის გამოცდა განაგრძეს

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური

## საქართველო VS ჩეხეთი

20 მარტი. თბილისი. «ეროვნული». 16 საათი

# ხალისიანი გადახალისება...

## ნაკრებმა ვინ შვიდკაცას დაუთმო, ვინ დროზე ვერ გააფრთხილა

დღეს საღამოს თბილისს ჩეხეთის მორაგბეთა ნაკრები ეწვევა. ერთა თასზე ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი გუნდი შაბათს ეროვნულ სტადიონზე ბორჯღალოსნებთან შეეცდება ჰაერივით საჭირო ქულების ალებას. ქართველთათვის კი მატჩის შედეგს იმხელა მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც გამართულ თამაშს.



ჩეხეთთან მატჩში დაბრუნდება ტრავმამოშუშებული მოიერიშე ბესიკ უდესიანი

მაგრამ თუ მოხერხდა, გამარჯვებაზე ვინ იტყვის უარს!. სხვა თანაგუნდელებთან შედარებით სუსტ მეტოქესთან, წესით, ფსიქოლოგიური დატვირთვაც ნაკლები უნდა იყოს და მწვრთნელ-მორაგბეებსაც თავიანთი შესაძლებლობების უკეთესად წარმოჩენის შანსი უნდა მიეცეთ.

საქართველოს ნაკრები ორშაბათს მცხეთაში შეიკრიბა და იქვე ორჯერად ვარჯიშებს ატარებს. ბურძგლა-ჩავლეიშვილი-ჭეიშვილი-ნარიმანაშვილი საშაბათოდ შერჩეულ ოცდაორს ყველა სათამაშო ეპიზოდს ახვეწინებს. მაგალითად, გუშინდელი დღე მთლიანად შეტევაში ვარჯიშს დაეთო, დღეს კი დაცვაზე გადაერთვებიან. ხვალ ჩეხეთიც და საქართველოც ეროვნულზე წაივარჯიშებენ. სტუმრებს მართალია ჯერ სურვილი არ გამოუთქვამთ, მაგრამ ჩამოვლენ და ითხოვენ.

ორი კვირის წინ რუსეთთან ნათამაშევი გუნდის შემადგენლობა ნახევრად გადახალისდა, შერკინების მესამე ხაზი კი სრულად შეიცვალა. დავით ბოლღაშვილის, ილო მაისურაძის, გია ლაბაძისა და რატი ურუშაძის ადგილი განაცხადში ბესიკ უდესიანმა, გიორგი ჩხაიძემ, ზვიად მაისურაძემ და შალვა პაპაშვილმა დაიკავეს. მწვრთნელთა კვარტეტს წინასწარ ჩაფიქრებული შემადგენლობის შეცვლა ზედ შეკრების წინ დასჭირდა. გრეგუარ იაშვილი ჰონგ კონგში წამსვლელ „შვიდკაცა“ ნაკრებს დაუთმეს, ხოლო გიორგი ჯორჯაძის ჩამოუსვლელობა მათთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

„გაუგებრობა მოხდა — გვითხრა გუშინ მალხაზ ჭეიშვილმა — ჯორჯაძემ იცოდა, რომ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ შეკრების დაწყების დღეს, დილით რომ შევეხმიანეთ, გვიპასუხა, კლუბმა არ გამაფრთხილა და ველარ მოვდივარო. სამომავლოდ მაინც გამოვიძახებთ. ჩეხეთთან მის ნაცვლად ზვიად მაისურაძეს ვუხმეთ, იაშვილი კი პაპაშვილით შევცვალეთ.“

ძნელი სათქმელია, მოხვდება თუ ვერა ჯორჯაძე ერთა თასის ბოლო ტურის შეხვედრის განაცხადში. მომდევნო შაბათს ბორჯღალოსნებს წლევანდელი გათამაშების ყველაზე რთულ მატჩი ელით, სტუმრად რუმინეთთან და მწვრთნელებს მრავალნაცადი ლეგიონის მოხმობა აქედანვე გადაუწყვეტიათ.

ჩეხებთან შეხვედრის შემდეგ ნაკრები კიდევ ერთხელ გადახალისდება და ლეგიონერებიან-შინაურებიანად მცხეთაშივე განაგრძობს ბოლო ტურისთვის მზადებას. ჩეხებთან თავის გამომჩენ მორაგბეებს სარუმინეთოდ პალიკო ჯიმშელაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე და სხვა ძველები დაემატებიან.

ბოლოს ისევ შაბათის შეხვედრაზე ვთქვათ. ჩვენი ნაკრების წინასამატჩო შემართება, ტრადიციულად საბრძოლოა. ტრავმასაც არავინ უჩივის. თედო ზიბზიბაძეს. მას თავს ახსენებდა რუსეთთან მიღებული ტრავმა, თუმც გუშინ უკვე ივარჯიშა და შაბათსაც აუცილებლად ითამაშებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*სულ მალე ჩვენი 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები იტალიაში, ვენეტოს რეგიონში ევროპის ჩემპიონატში რომ მიიღებს მონაწილეობას, ალბათ გეცოდინებათ. ჩვენებს პირველი თამაში 4 აპრილს მასპინძელ „სკუადრა აძურასთან“ ელით, გამარჯვების შემთხვევაში მომდევნო მეტოქე საფრანგეთ-პორტუგალიას შორის მოგებული იქნება. თუ იტალიასთან დავმარცხდით, ასევე ამ წყვილს შორის წაგებულს ვეთამაშებით. ჩემპიონატი ამ ფორმატით პირველად იმართება: 24 გუნდი სამ ჯგუფად დაიყოფა — A, B და C. ჩვენ უძლიერეს A ჯგუფში ვართ განთესილები. აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების მენეჯერსა და ასევე 18-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ გია ჭუმბურიძეს გავესაუბრეთ ამ თემაზე*

# იტალიაში წასაგებად არ ჩავდივართ

## მესამე იაშვილი ქართველ ჭაბუკებში?

— თბილისიდან 2 აპრილს ვენაში ჩავფრინდებით, სადაც ავსტრიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გვექნება სპარინგმატჩი. იტალიაში ავტობუსით გავემგზავრებით და 4 აპრილს პირველ მატჩს გავმართავთ.

**— თანხები უკვე მოიძიეთ?**

— ჯერჯერობით თანხები არ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო შეკვეთილია და საელჩოში საბუთები ფორმდება. ჩვენი ნაკრები უკვე ჩემპიონატის ბადეშია. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება.

**— ფინანსების შოვნას სად და როგორ აპირებთ?**

— ალბათ რაღაც ნაწილს ფირა გამოგვიყოფს, ნაწილსაც ჩვენი სახსრებით მოვიძიებთ.

**— ფირა-ს რა ნაწილზეა საუბარი?**

— თუ სასტუმრო ერთ კაცზე 60 ევრო ჯდება, ფირა 15 ევრომდე ფარავს. ავიაბილეთებს ეს დახმარება, დაახლოებით 20 პროცენტამდე ეხება.

**— ნაკრები როგორ ემზადება?**

— ორი კვირაა, რაც ერთად ვვარჯიშობთ. სპორტის აკადემიის მოედანზე დავიწყეთ, სულ ცოტა ხნის წინ კი მაუდ-კამვოლის სტადიონზე გადავინაცვლეთ. წვრთნას ყოველდღე გავდივართ. გვინდა, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**— ვარჯიშის რაიმე გეგმა გაქვთ შედგენილი?**

— ცოტა ხნის წინ კლოდ სორელი და ტიერი რუდილი იყვნენ თბილისში და ტიერის ვთხოვეთ, ფიზმომზადების გეგმა შედგინა ჩვენთვის. ძალიან დაგვეხმარა. სწორედ მისი პროგრამით გავდივართ ფიზმომზადებას.

**— მოთამაშეები რა პრინციპით აირჩიეთ?**

— თავიდან 40 ბავშვი ავიყვანეთ, რა თქმა უნდა, ჩვენი დაკვირვებით და მწვრთნელების რეკომენდაციით. დღესდღეობით 30 მორაგბე დავტოვეთ. აქედან 25 წამოვა იტალიაში.

**— როგორც ვიცით, იაშვილების „საძმოს“ მესამე ძმა შარლ-ედუარდიც მოიაზრება გუნდში...**

— კი შეიძლება, ეგ ბიჭი დავიმატოთ. მართალია, ნანახი არ გვყავს, თუმცა ვიცით, რომ ძალიან ნიჭიერი მორაგბეა, „ბიარიცის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს, თანაც ნახევარმცველია, ამ ამპლუის მოთამაშეები კი ჩვენ ძალიან გვჭირდება.

**— თვითონ თუა თანახმა?**

— კი, თვითონაც და მამამისი მიშელ იაშვილიც.

**— მეტოქეებს თუ იცნობთ?**

— ფავორიტებად უდავოდ საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებები გვევლინებიან. ასევე ძლიერია შოტლანდიის ნაკრებიც. ცოტა ხნის წინ იტალიის ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს გავესაუბრე და მან ჩვენს ასაკში სწორედ ეს გუნდები დაგვისახელა. თანაც აღნიშნა, რომ ამ ნაკრების წარმომადგენლები სპორტულ სპეციალიზირებულ ინტერნატებში იზრდებიან, ასე რომ, რაგბის ბავშვობიდან სერიოზულად, შეიძლება ითქვას, პროფესიულადაც მისდევენ.

**— და მაინც ფიქრობთ, რომ მეტოქეობას გაუწევთ მათ?**

— ღირსეულად ვიბრძოლებთ. ჩვენ თან გვდევს ის სული, რომელიც მორაგბისთვის საჭიროა. პირველ მეტოქესთან, იტალიის ნაკრებთან, რომელიც საკმაოდ ძლიერია, ვფიქრობ, რთული იქნება მოგება, მაგრამ წასაგებად, არ ჩავდივართ.

**— ტურნირს ჩატარების სისტემა როგორია?**

— თამაშები იწყება მეოთხედფინალიდან. გამარჯვებული გუნდი ნახევარფინალში გადის, მეორე მოგებისას კი ფინალში. ხოლო პირველ მატჩში დამარცხებული მე-5-8 ადგილებისთვის იბრძოლებს. პროგრამა-მი-



ნიმუმი მეშვიდე ადგილია, რადგან მერვეზე გასული გუნდი ქვედა ჯგუფში ჩადის.

**— ჩვენი პირველი მეტოქე იტალიაა...**

— A ჯგუფში არიან ინგლისის, საფრანგეთის, შოტლანდიის, იტალიის, საქართველოს, პორტუგალიის, რუმინეთისა და რუსეთის გუნდები. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ იტალიის შემდეგ საფრანგეთს ან პორტუგალიას ვხვდებით.

**ნინო ლეჟავა**

## საქართველოს ჩემპიონატი

# სუ! თსუ-მ გაიღვიძა

17 მარტი. ვერის ბალი

**თსუ 88:75 სტუ**

31:15 14:24 20:12 23:24

თსუ: თორთლაძე (7), მაისურაძე (10), აბრამიძე (9), ორმოცაძე (12), შენგელია (19); საყვარელძე (9), სანიკიძე (9), მარხვაშვილი (6), ფანჩულიძე (5), ლეჟავა (2)

სტუ: ნიკოლაძე (11), გაგნიძე (7), მარკოიშვილი (10), ჯაფარიძე (13), ახალკაცი (7); დავითულიანი (10), ლ. შანიძე (9), მიქაძე (6), ლაფანაშვილი (2), ქისტაური

მსაჯი: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 24 | 22 | 2 | +648 | 46 |
| სტუ | 24 | 17 | 7 | +350 | 41 |
| დინამო | 22 | 17 | 5 | +452 | 39 |
| თსუ | 24 | 14 | 10 | +115 | 38 |
| რუსთავი | 23 | 13 | 10 | +154 | 36 |
| მაკაბი | 22 | 7 | 15 | -168 | 29 |
| სსუ | 24 | 4 | 20 | -605 | 28 |
| ქუთაისი | 25 | 0 | 25 | -946 | 25 |

როგორც იქნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსაც შეხვდა გამარჯვება. წელს თსუ ხშირად კი იგებდა, მაგრამ „ქუთაისის", სსუ-ს, ანაც სხვა სუსტების დამარცხება რა სათვალავში ჩასაგდებია ასეთი ამბიციური გუნდისთვის. მამუკა ტურაშვილის საწყისოს შორს მიმავალი გეგმები აქვს, თუმც გუშინდლამდე მას დავიწყებული ჰქონდა ბობოლა გუნდის ძლევის ტკბილი გემო.

ბოლოს და ბოლოს ნავსი გატყდა, თსუ-მ გუშინ სტუდენტურ დერბიში მეტად პრინციპული მეტოქე დაამარცხა. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს ხუთეულის სამი კაცი აკლდა, მაგრამ ამით არ კნინდება თსუ-ს გამარჯვება. ტურაშვილის ბიჭებმა მთელი ჟინი და ილაჯი ჩააქსოვეს თამაშში და საბოლოოდ, საკმაოდ იოლადაც გაიმარჯვეს.

ტექნიკოსთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა ნამატჩევს დაიჩივლა, ძირითადის ხალხი მაკლდა, ყველაფერი არეული იყო, შეტევა შეტევას არ ჰგავდაო. მართლაც, სტუ-ს შეტევებს გონივრულობის ელფერი მკრთალად თუ დაჰკრავდა. მცდელობა კი იყო, მაგრამ ყველაფერი საბოლოოდ მაინც ინდივიდუალურ ოსტატობის ხარჯზე ხდებოდა. სტუ მაშინ იხვეჭდა ქულებს, ვინმეს სროლა თუ წაუვიდოდა ან გარღვევა გამოუვიდოდა.

დებიუტში სწორედ ასე მოხდა, გიორგი გაგნიძემ გარღვევები მოაწყო, ირაკლი ჯაფარიძემ კი პერიმეტრზე აიწია და სამქულიანი გაისროლა. სტუ 7:1 დაწინაურდა, თსუ გახელდა. ორმოცაძემ და აბრამიძემ სამქულიანები დასჭექეს და შემდეგ თსუ-ს ზორბა ცენტრის კახა შენგელიას ჯერიც დადგა. ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე წონიანი მოთამაშე სტუ-ს სამწამიანში დატრიალდა, ჯაფარიძე მარჯვედ მოიშორა და ერთ წუთში 7 ქულა მიითვალა. თსუ-მ მცირე ლიდერობა დაიბევა, ხოლო ირაკლი მაისურაძემ და შეცვლაზე შესულმა ახალბედა მიშა ფანჩულიძემ მცირე შესვენებამდე 16 ქულამდე გააფართოვეს სხვაობა.

ტექნიკოსები გვარიანად იყვნენ დაბნეულები. სანამ მეორე მეოთხედის ახალდაწყებულზე გულივერ ახალკაცი საჯარიმოს ჩააგდებდა, ბოლო 5 წუთის მანძილზე ტექნიკოსებს ქულა არ აეღოთ. თსუ კარგად იყენებდა შიდა სივრცეებსაც და პერიმეტრიდანაც ხშირად უმართლებდა. უნდა ითქვას, რომ ამ დროს მოედანზე თსუ-ელთა სათადარიგოები, უფრო სწორად კი ახალგაზრდები ირჯებოდნენ. ტურაშვილმა დიდი უპირატესობა რომ დაიბევა, თამამად შეუშვა მოედანზე ახალგაზრდები და მათაც გაამართლეს.

გამოსარჩევია გიორგი მარხვაშვილის შეუპოვრობა, რომელმაც ტოლი არაფერში დაუდო ტექნიკოსთა ელვა-გამთამაშებელ გიორგი ნიკოლაძეს, პასებიც ბლომად არიგა და ჩასაგდებიც ჩააგდო. მარხვაშვილის მონდომება გასაგებია, ის ამ სეზონამდე სტუ-ში თამაშობდა და მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილთან უთანხმოების გამო დატოვა გუნდი. გუშინ ის თავაწეული გახედავდა ჭეიშვილს. სპორტში ხომ ასეა, ანგარიში მუშტი-კრივით კი არა, შედეგებით უნდა გაასწორო.

მეორე ათწუთეულის მიწურულს ახალგაზრდებს გამოცდილი თსუ-ელები ჩაენაცვლნენ და რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, სტუ-მ წამოწევა იწყო. ტექნიკოსები დაცვაში გამაგრდნენ და კონტრშეტევებით დაიწყეს ქულების გროვება. ჰოდა, ზვიად მიქაძის საჯარიმოების შემდეგ სტუ-მ 7 ქულამდე შეამცირა სხვაობა. სტუ თითქოს გამოცოცხლდა, თამაშს ალლო აუღო, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩამჰკრა მეტოქისთვის ზარმა — ირაკლი ჯაფარიძემ მე-4 პერსონალური მიიღო და კარგა ხნით სათადარიგოებში გადაჯდა.

ამ დანაკლისმა შესამჩნევად შეასუსტა სტუ-ს შეტევები. მესამე ათწუთეულის საწყის 4 წუთში კაცი არ მოინახა, თსუ-ს კალათი დაელაშქრა, სამაგიეროდ შენგელიამ იგრძნო მეტი თავისუფლება და ჯეოსელელთა სამწამიანში გაინავარდა. ანგარიშიც განუხრელად იზრდებოდა თსუ-ს სასარგებლოდ და გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე 65:51 გახდა. ტექნიკოსებს ყველა რესურსი ამოეწურათ. ერთ მეოთხედში 14 ქულის ამოღება მათთვის არარეალური იყო და ვერც მოახერხეს.

**ირაკლი პერტაია**



თსუ-ელმა გიორგი მარხვაშვილმა ყოფილ გუნდთან ერთიორად მოიწადინა



# ხსოვნა წაუშლელი

ორმოცი დღე გავიდა დიდი ქართველი კალათბურთელის მიხეილ ქორქიას გარდაცვალებიდან. გულისტკივილით გავაცილეთ ოლიმპიური და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი, დიდი ქართველი. მიხეილ ქორქიამ რამდენიმე დღე იცოცხლა უფროსი მეგობრის და თანაგუნდელის ზურაბ საკანდელიძის გარდაცვალებიდან...

...ორმოცი დღის თავზე მიხეილ ქორქიას ახლობლები, მეგობრები და გულშემატკივრები განსვენებულისთვის პატივის მისაგებად შეიკრიბნენ. ბახტრიონის 7-ში, სადაც ცხოვრობდა მიხეილ ქორქია, მემორიალური დაფა გაიხსნა. გულდამძიმებულმა საკალათბურთო თემმა თბილად მოიგონა დიდი ქართველი კალათბურთელი.



## ალექსანდრ გომელსკი

**მიხეილ ქორქია** იყო ქორქიების იმ დინასტიის ჭეშმარიტად დიდი წარმომადგენელი, რომელიც დაარსა ღვაწლმოსილმა ოთარ ქორქიამ. ნამდვილი ვაჟკაცი და შესანიშნავი მოთამაშე. ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა და სანამ ის მოედანზე იყო, მის გუნდს არავინ თვლიდა დამარცხებულად. მიხეილ ქორქია კარგად გრძნობდა კალათბურთის ყველა წვრილმანს, შეეძლო წყობიდან გამოეყვანა ნებისმიერი მცველი. მეურვეს ბურთს უჩვენებდა, აახტუნებდა და შემდეგ ესროდა. ხშირად ბურთსაც აგდებდა და მოწინააღმდეგესაც აიძულებდა, მასზე დაჯარიმებულიყო. თამაშში რამდენჯემე ჰქონდა სამქულიანი შეტევები...

შესანიშნავი და ძალზე გულისხმიერი კაცი იყო. ყველა თემაზე დაელაპარაკებოდი, ყოველთვის მოგისმენდა, გაგიგებდა. მადლობა მიშა ქორქიას იმისვის, რომ დიდი ადამიანი იყო...

საქართველომ მოკლე დროში ორი დიდი პიროვნება დაკარგა, ზურაბ საკანდელიძე და მიშა ქორქია. ისინი მათ შორის არიან, ვინც განადიდეს თავიანთი ქვეყნის, რესპუბლიკის სახელი.

მათი მარადი ხსოვნა იყოს!



ჩოგბურთი

# აი, ნაღდი კაცი!

## ჟუსტინ ენენი როჯერ ფედერერის შთაბეჭდილების ქვეშაა

**PACIFIC LIFE OPEN**
ინდიანი უელსი
მაგარსაფარი
კაცები საპრიზო 2,78 მილიონი $

**მეოთხე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მერდი ფიში (18, აშშ) 6:4, 6:1; **გილერმო კორია** (4, არგენტინა) — სებასტიან გროჟანი (13, საფრანგეთი) 3:6, 7:6 (7:2), 6:2; **ანდრე აგასი** (5, აშშ) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:5, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (32, არგენტინა) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:2

მეოცე საამსეზონო შეხვედრაში მეცხრამეტე გამარჯვება ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა კვლავ ზედმეტი ძალისხმევისა და ოფლიანობის გარეშე მიითვალა. მერდი ფიში, ვინაც მას შარშანდელ წარმატებულ უიმბლდონობაზე ერთადერთი სეტი „გააგდებინა", 22 წლის შვეიცარიელმა 77 წუთში მოაშთო. ის მართლაც საუკეთესოაო, იძახდა ნამატჩევს ფიში. თავად განსაჯეთ, რეიტინგსიაში მეცხრამეტე ადგილი მიკავია, მან კი დღეს ასე გაუსაჩივრებლად გამაჩუმაო.

განსაკუთრებული პრობლემები მეოთხედფინალში დასაბინავებლად არც ბებერ ანდრე აგასის შეჰქმნია — რუსი იუჟნი მას მხოლოდ პირველ სეტში გაუძალიანდა.

გაივაკა წინა წრეში შარშანდელ და შარშანწინდელ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტის ჩამჩეხმა ხუან იგნასიო ჩელამაც. არგენტინელმა ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ დიდ კორტზე ახლახანს მობრუნებული ტომი ჰაასი აოტა.

ქალები. საპრიზო 2,1 მილიონი $

**მეოთხე წრე**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — მეგან შონესი (20, აშშ) 6:1, 6:3; **ანასტასია მისკინა** (4, რუსეთი) — მარია შარაპოვა (16, რუსეთი) 6:2, 6:1; **ნატალი დეში** (19, საფრანგეთი) — ვერა ზვონარიოვა (6, რუსეთი) 2:6, 6:2, 6:2; **კონჩიტა მარტინესი** (11, ესპანეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:1, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (12, რუსეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:0, 6:3; **ფაბიოლა სულუაგა** (15, კოლუმბია) — ლაურა გრენვილი (აშშ) 7:5, 6:2; **ხისელა დულკო** (არგენტინა) — მარისა ირვინი (აშშ) 7:6 (7:3), 7:6 (7:2)

როჯერ ფედერერს იმ დღეს მხოლოდ ძლეული მეტოქე არ აქებდა. კაცთა თამადას თბილი სიტყვები უძღვნა მისმა მდედრიონელმა კოლეგა ჟუსტინ ენენ-არდენმაც, რომელიც მეტისმეტად მოხიბლული დარჩენილა მერდი ფიშთან მისი სოლიდური ჩოგნაობით. ძალიან შთაბეჭდილი ვარო, ამბობდა ჟუსტინი — ეგეთი თავდაჯერებით მოთამაშე კაცი ნაღდად უპირველესიაო.

თუმცა თავდაუჯერებლობას არც თავად ჭინკა ბელგიელი გოგო უჩივის. მეოთხედფინალში მოსახვედრად მან კადნიერი ჩეხი კვალიფიკანტი ბარბორა სტრიჩოვა ჩამოიშორა.

მასზე იოლად გაითამაშა ორგზის ჩემპიონმა და შარშანდელმა ფინალისტმა ლინდსი დევენპორტმა, ვინაც თვისტომ მეგენ შონესის ფიორა შანსიც არ დაუტოვა.

**ლევან ძელაურაძე**

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამაოა „სენტ ლუისის" მეკარე კრის ოსგუდის გარჯა, შაიბა უკვე კარშია

# ბედმა ვალი არ დაიტოვა

— 16 მარტი —

**მონრეალი 2:4 კოლორადო**
*2:1 0:1 2:0*
1:0 რაიდერი (13), 2:0 პერო (15), 2:1 ბლეიკი (17), 2:2 გრეტონი (29), 3:2 კოივუ (45), 4:2 რიბეირო (60)

**პიტსბურგი 4:1 ვაშინგტონი**
*2:0 1:1 1:0*
1:0 უილსონი (7), 2:0 ისტვუდი (20), 3:0 მუსი (29), 3:1 სიომინი (30), 4:1 უილსონი (53)

**ლოს ანჯელესი 3:5 სენტ ლუისი**
*1:3 1:0 1:2*
1:0 ბარნი (3), 1:1 რიომი (4), 1:2 დრეიკი (4), 1:3 სილინჯერი (12), 2:3 ვისნოვსკი (35), 2:4 ტკაჩუკი (41), 3:4 ევერი (52), 3:5 ჩაიანეკი (60)

დასავლეთ კონფერენციაში საპლეიოფო ბრძოლა თანდათან ხურდება. უშუალო კონკურენტებს „სენტ ლუისსა" და „ლოს ანჯელესს" შორის სხვაობა კვლავ ერი ქულაა, ოღონდ ამჯერად უკვე „ბლუზმენები" უსწრებენ მეტოქეს, „მეფეები" კი საპლეიოფო ნუსხიდან ამოვარდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ მეტოქეების სეზონში ექვსივე მატჩში გამარჯვება „სენტ ლუისმა" იზეიმა. მასპინძელთა ლიდერმა კეიტ ტკაჩუკმა კარიერაში მეცხრედ უწია 30-შაიბიან ზღვარს.

**დალასი 3:3 სან ხოსე**
*2:0 1:0 0:3 0:0*
1:0 არნოტი (10), 2:0 ზუბოვი (15), 3:0 არნოტი (34), 3:1 ეკმანი (54), 3:2 ჩიჩუ (59), 3:3 ჩიჩუ (60)

**ედმონტონი 3:2 კოლუმბუსი**
*1:1 0:0 2:1*
0:1 სვიტოვი (4), 1:1 ბერუერონი (17), 2:1 ლარაქი (43), 2:2 კესელსი (53), 3:2 მორო (55)

სანამ პლეი ოფისთვის მოდავე გუნდები ერთმანეთთან ბრძოლაში ქულებს კარგავენ, „ედმონტონი" ნელ-ნელა ეწევა მათ. „მენავთობეები" ოთხი ქულითღა ჩამორჩებიან დასავლეთში მერვე ადგილზე მყოფ „ნეშვილს". ბოლო წლებში უკვე ტრადიციად იქცა — „ედმონტონი" სწორედ ფინიშზე უმატებს და ევებ საპლეიოფო მატარებელსაც შეახტეს. ბოლო ათი მატჩია, „მენავთობეები" ძირითად დროში არ დამარცხებულან.

**დეტროიტი 1:4 კალგარი**
*0:1 1:3 0:0*
0:1 იელი (7), 0:2 მონტადორი (23), 0:3 ლომბარდი (24), 1:3 მოლტბი (36), 1:4 კონროი (40)

ბოლო რვა წლის განმავლობაში პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი „კალგარი" დღითი დღე იმყარებს თავის ადგილს. სამშაბათს „ალებმა" ბობოლა „დეტროიტიც" არ დაინდეს, რომელიც აქამდე ამ ორი გუნდის სეზონურ დუელში არ დამარცხებულიყო. ისე, წინა მატჩებში „კალგარის" ბედიც არ სწყალობდა, ამჯერად კი განგებამ სავსებით დაუბრუნა ვალი. პირველ პერიოდში მასპინძლებმა 10:1 აჯობეს დარტყმებში მეტოქეს, მაგრამ ეს კინკილა დარტყმა „ალებმა" გოლად აქციეს.

**მინესოტა 5:2 ოტავა**
*2:0 1:1 2:1*
1:0 შუინარი (9), 2:0 ვალინი (10), 3:0 გაბორიკი (21), 3:1 ჰოსა (37), 4:1 გაბორიკი (41), 4:2 სმოლინსკი (51), 5:2 გაბორიკი (58)

მარიან გაბორიკმა ამ მატჩში შარშანდელი მრისხანება დაიბრუნა. „მინესოტას" სლოვაკი ფორვარდი 3 გოლით და 2 პასით პირადად გაუმკლავდა „ოტავას".

**ტამპა 1:3 აილენდერსი**
*1:0 0:0 0:3*
1:0 მოდინი (6), 1:1 ვეინჰარდლი (42), 1:2 პაპინო (54), 1:3 ბლეიკი (60)

**ტორონტო 1:2 ბოსტონი**
*1:0 0:1 0:1*
1:0 ნუინდაიკი (7), 1:1 გრინი (27), 1:2 გრინი (53)

**ფინიქსი 2:3 ანაჰაიმი**
*0:1 2:1 0:0 0:1*
0:1 ბარნეტი (14), 1:1 დოუნი (21), 1:2 სივერსონი (32), 2:2 ლენგკოუ (37), 2:3 ფიოდოროვი (61)

**ვანკუვერი 2:2 ნეშვილი**
*2:1 0:0 0:1 0:0*
0:1 იუჰანსონი (7), 1:1 ვესლერი (10), 2:1 ლინდენი (11), 2:2 ჰოლი (60)

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 73 | 41 | 8 | 5 | 19 | 216:169 | 95 |
| ფილადელფია | 74 | 37 | 14 | 6 | 17 | 211:168 | 94 |
| ბოსტონი | 73 | 36 | 14 | 7 | 16 | 186:164 | 93 |
| ტორონტო | 74 | 39 | 9 | 3 | 23 | 215:189 | 90 |
| ოტავა | 73 | 38 | 9 | 5 | 21 | 237:165 | 90 |
| მონრეალი | 74 | 39 | 6 | 3 | 26 | 194:170 | 87 |
| ნიუ ჯერსი | 72 | 37 | 11 | 2 | 22 | 180:187 | 87 |
| აილენდერსი | 72 | 32 | 10 | 4 | 26 | 202:187 | 78 |
| ბუფალო | 72 | 31 | 6 | 4 | 31 | 191:199 | 72 |
| ფლორიდა | 72 | 26 | 14 | 3 | 29 | 158:186 | 69 |
| ატლანტა | 73 | 29 | 7 | 3 | 34 | 194:220 | 68 |
| კაროლინა | 72 | 24 | 13 | 5 | 30 | 142:175 | 66 |
| რეინჯერსი | 73 | 25 | 7 | 6 | 35 | 187:218 | 63 |
| ვაშინგტონი | 73 | 21 | 8 | 2 | 42 | 165:226 | 52 |
| პიტსბურგი | 73 | 18 | 7 | 4 | 44 | 164:273 | 47 |

**დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 72 | 42 | 10 | 2 | 18 | 225:161 | 96 |
| კოლორადო | 73 | 38 | 12 | 5 | 18 | 220:174 | 93 |
| სან ხოსე | 72 | 35 | 12 | 6 | 19 | 187:161 | 88 |
| ვანკუვერი | 73 | 37 | 10 | 4 | 22 | 207:175 | 88 |
| დალასი | 73 | 36 | 13 | 0 | 24 | 169:157 | 85 |
| კალგარი | 73 | 37 | 7 | 3 | 26 | 183:160 | 84 |
| სენტლუისი | 73 | 34 | 10 | 2 | 27 | 172:181 | 80 |
| ნეშვილი | 73 | 33 | 11 | 3 | 26 | 191:194 | 80 |
| ლოს ანჯელესი | 72 | 28 | 16 | 7 | 21 | 190:187 | 79 |
| ედმონტონი | 73 | 30 | 12 | 4 | 27 | 194:187 | 76 |
| მინესოტა | 72 | 24 | 20 | 2 | 26 | 158:161 | 70 |
| ანაჰაიმი | 73 | 26 | 9 | 8 | 30 | 162:190 | 69 |
| ფინიქსი | 73 | 20 | 16 | 6 | 31 | 177:2[illegible]1 | 62 |
| ჩიკაგო | 71 | 19 | 9 | 6 | 37 | 166:219 | 53 |
| კოლუმბუსი | 73 | 20 | 8 | 4 | 41 | 156:215 | 52 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*
*მთავრული შრიფტით პლეი ოფში გასული გუნდებია აღნიშნული*

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 16 მარტი —

**მილუოკი 99:100 პორტლენდი**
მილუოკი: ჯონსი (6), რედი (26), ვან ჰორნი (17), სმიტი (4), სკინერი (10); მეისონი (18), ნაითი (10), კუკოჩი (10), გაძურიჩი (4), სანტიაგო
პორტლენდი: სტუდემაიერი (14), ანდერსონი (20), მაელზი (20), რენდოლფი (16 ქულა, 11 მოხსნა), რეთლიფი (10); აბდურ-რაჰიმი (16), დევისი (4), პატერსონი, გილი

**ნიუ ჯერსი 94:77 საკრამენტო**
ნიუ ჯერსი: კიტლზი (24), როჯერსი (20), ჯეფერსონი (19)
საკრამენტო: ბიბი (17), ვებერი (15)

**კლივლენდი 111:87 ჩიკაგო**
კლივლენდი: ილგაუსკასი (24 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება), ბუზერი (22 ქულა, 13 მოხსნა), ჯეიმსი (17 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა, 5 დაფარება)
ჩიკაგო: კროუფორდი (17)

**მემფისი 82:79 ფილადელფია**
მემფისი: გასოლი (22 ქულა, 10 მოხსნა)
ფილადელფია: მაკკი (22), ტომასი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი 114:110 ვაშინგტონი**
ძირითადი დრო 96:96
ნიუ იორკი: ტომასი (32)
ვაშინგტონი: არენასი (27)

**მაიამი 96:83 ნიუ ორლეანი**
მაიამი: ვეიდი (23)
ნიუ ორლეანი: დევისი (23)

**ატლანტა 110:118 სიეტლი**
ატლანტა: ჯექსონი (39)
სიეტლი: ვერი (28)

**ფინიქსი 98:110 კლიპერსი**
ფინიქსი: სტუდემაიერი (28)
კლიპერსი: რიჩარდსონი (32)



ალენ აივერსონმა ტრავმა მოირჩინა და „მემფისთან" დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ 10 ქულა ჩააგდო და მისმა „ფილადელფიამაც" წააგო

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 41 | 25 | 62,1 |
| ნიუ იორკი | 31 | 37 | 45,6 |
| მაიამი | 31 | 37 | 45,6 |
| ბოსტონი | 30 | 38 | 44,1 |
| ფილადელფია | 28 | 40 | 41,2 |
| ვაშინგტონი | 20 | 46 | 30,3 |
| ორლანდო | 19 | 50 | 27,5 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 49 | 17 | 74,2 |
| დეტროიტი | 43 | 25 | 63,2 |
| ნიუ ორლეანი | 35 | 32 | 52,2 |
| მილუოკი | 34 | 33 | 50,7 |
| კლივლენდი | 31 | 36 | 46,3 |
| ტორონტო | 28 | 38 | 42,4 |
| ატლანტა | 21 | 46 | 31,3 |
| ჩიკაგო | 18 | 49 | 26,9 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 46 | 21 | 68,7 |
| სან ანტონიო | 44 | 24 | 64,7 |
| დალასი | 42 | 24 | 63,6 |
| მემფისი | 42 | 25 | 62,7 |
| ჰიუსტონი | 39 | 27 | 59,1 |
| დენვერი | 36 | 32 | 52,9 |
| იუტა | 34 | 33 | 50,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 49 | 18 | 73,1 |
| ლეიკერსი | 44 | 23 | 65,7 |
| პორტლენდი | 34 | 33 | 50,7 |
| სიეტლი | 29 | 38 | 43,3 |
| კლიპერსი | 27 | 40 | 40,3 |
| გოლდენ სტეიტი | 26 | 40 | 39,4 |
| ფინიქსი | 22 | 46 | 32,4 |

## ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. 16 მარტი**

**D ჯგუფი**

**ციბონა 62:68 ოლიმპიაკოსი**
ციბონა: კრაშიჩი (15)
ოლიმპიაკოსი: ჰარისისი (12)

**ტაუ 77:80 ცსკა**
ტაუ: სკოლა (20)
ცსკა: ბრაუნი (22)

**E ჯგუფი**

**ეფესი 72:70 სკიპერი**
ეფესი: ნიკოლიჩი (18)
სკიპერი: ვუიანიჩი (24)



ეფესელი კუქო და სკიპერელი შპიგელი ფარქვეშ შებმულან

# თვალი არ ატყუებს


REUTERS სასკაჩევანიდან

კვლავ ქარლინგს უბერავენ ალბერტა და სასკაჩევანი. კანადის ამ ორი პროვინციის გუნდთაგან პირველი ზედიზედ მეოთხედ ხდება ჩემპიონი და კაპიტან რენდი ფერბისაც ტყუილად არ ჩაუჭუტავს თვალი.

# აზიის ფორმულა


REUTERS შანხაიდან

ახლაა მალაიზიის დიდი საფორმულო პრიზი და კუალა ლუმპურში უკვე აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს. „ზაუბერის“ გუნდის წევრები ფილიპე მასა (მარჯვნივ) და ჯანკარლო ფიზიკელა იქაურ ლამაზმანებთან ერთად ჩამომდგარან. შანხაი კი ჯერ ელის თავის პირველ დიდ პრიზს, სასექტემბროდ ჩინეთის ამ ქალაქში რომ გათამაშდება. ბილეთები კი უკვე მზადაა და ტურისტებიც მრავლად იქნებიან. შანხაი ჩინეთის ბიზნესის დედაქალაქია და უკვე 362 ათასი დოლარის ღირებულების საფორმულე სავზურიც გაუყიდია.


REUTERS კუალა ლუმპურიდან




REUTERS მადრიდიდან

ყოჩაღმა „სარაგოსამ“ ზიზუ და „რეალიც“ წააქცია

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ლივერპული 3:0 პორტსმუთი
I დივიზიონი. XXXVII ტური
ქოვენთრი 4:1 პრესტონი
ნოტინგემი 1:1 ბარნლი
ვესტ ჰემი 4:2 ქრიუ
II დივიზიონი. XXXVII ტური
შეფილდ უენსდი 0:2 ბორნმუთი
სუინდონი 2:0 გრიმსბი
III დივიზიონი. XXXVII ტური
ოქსფორდი 1:0 ჩელტენემი

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
დანდი 1:2 სელტიკი

## გერმანია

II ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ალენი 3:1 ბურგჰაუზენი
თასის ნახევარფინალი
ალემანია 1:0 მიონხენგლადბახი

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XXV ტური
ადმირა 1:0 რაპიდი
აუსტრია 1:0 მატერსბურგი
პაშინგი 3:3 გრაცერი
ზალცბურგი 2:0 ბრეგენცი
შტურმი 2:0 კერნტენი

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXIV ტური
აარაუ 2:2 გრასჰოპერი
სერვეტი 2:2 ქსამაქსი
თუნი 2:3 სენტ გალენი
ვილი 1:3 იანგ ბოისი
ციურიხი 1:0 ბაზელი
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
კრიენსი 2:2 კონკორდია
ბულე 0:2 სიონი
შო დე ფონი — ვინტერთური გადაიდო

## სლოვაკეთი

I ლიგა. XIX ტური
პეტრჟალკა 3:0 პუხოვი
ბანსკა ბისტრიცა 0:0 ჟილინა
დუბნიცა 4:1 სლოვანი
ტრნავა 1:0 რუჟომბეროკი

## სერბეთი

პრვა ლიგა. XX ტური
კომი 0:1 ოფკ
ბორაცი 0:0 სარტიდი
ბუდუჩნოსტი 2:1 ჰაიდუკი
ობილიჩი 2:1 ვოივოდინა
პარტიზანი 3:0 სუტიესკა
რადნიჩკი 0:0 ცრვენა ზვეზდა
ჟელეზნიკი 2:1 ნაპრედაკი
ზემუნი 1:0 ზეტა

## ესპანეთი

თასის ფინალი
რეალი 2:3დ.დ.(2:2) სარაგოსა

## საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი
ნანტი 3:2 რენი
მონაკო 0:1 შატორუ

## ბელგია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ანდერლეხტი 1:1 ბევერენი
მუსკრონი 2:2 ბრიუგე

## საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
ირაკლისი 2:3 აეკ (0:1)
პანათინაიკოსი 2:1 პატრაიკოსი (1:0)

## ჩეხეთი

თასის მერვედფინალი
პრჟიბრამი 2:0 ზლინი
სპარტა 2:0 ოპავა
ხოცენი 0:2 ბლშანი
სტრაკონიცე 0:2 ლიბერეცი
უნიხოვი 1:2 ტეპლიცე
დრნოვიცე 0:2 ბრნო

## თურქეთი

თასის ნახევარფინალი
ისთანბული 0:2 ტრაბზონი
ფენერბაჰჩე 2:4 გენჩლერი

## რუსეთი

თასის მერვედფინალი
პირველი მატჩი
ყუბანი 0:3 ტერეკი

## უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
ზალაეგერსეგი 1:0 ვიდეოტონი
ბოდაიკი 1:3 ფერენცვაროში
ტუშერი 0:3 კიშპეშტი
ვაშაში 2:1 შოპრონი

## ხორვატია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
ციბალია 0:0 ჰაიდუკი
ოსიეკი 0:2 დინამო
პულა 2:0 ვარტექსი

## იტალია

თასის ფინალი. I მატჩი
ლაციო 2:0 იუვენტუსი

## პორტუგალია

თასის ნახევარფინალი
ბენფიკა 3:1 ბელენენსეში

## ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი
სპარტა 3:3დ.დ.(პენ.3:4, 2:2) უტრეხტი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge